



# კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო პროგრამა

სტუდენტი - ილარიონ ცეცხლაძე

ს ა მ ა გ ის ტ რ ო ნ ა შ რ ო მ ი

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტები და  
ამოცანები „კავკასიური პოლიტიკის“ ფორმატში - სამშვიდობო  
ინიციატივები და რეგიონული სტაბილურობის რეალობა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია,

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თბილისი 2019

## Annotation

"Georgia's foreign policy priorities and tasks in the format of" Caucasian Policy "- Peace Initiatives and Reality of Regional Stability."

The work focuses on the priorities and tasks of Georgia's foreign policy, its role as the international and regional arena of the country. Georgia's relations with neighbors, political, economic and security are also interesting. In addition, in the 21st century, the system of international relations, the geopolitical significance of the Caucasus region, which is determined by geopolitical and geo-economic factors, gradually coincides. Since 1991, when the bipolar world has disappeared, the complex, political processes in the Caucasus have contributed to the vulnerability of international security. That is why the question has been raised about the need for stability in the region. The Georgian authorities have proposed how many peace initiatives that will contribute to the peaceful, coexistence and conditions in the region.

Ilarion Tsetskhladze

## ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და ამოცანები, მისი როლი, როგორც ქვეყნის საერთაშორისო და რეგიონულ არენაზე. საინტერესოა ასევე საქართველოს ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების კუთხით. ამასთან ერთად, 21-ე საუკუნის, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, თანდათანობით იკვეთება კავკასიის რეგიონის, გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრება, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფაქტორებით. 1991 წლიდან მოყოლებული, როცა გაქრა ბიპოლარული სამყარო, კავკასიაში არსებულმა, რთულმა, პოლიტიკურმა პროცესებმა, თავისი წვლილი შეიტანე, საერთაშორისო უსაფრთხოების მოწყვლადობის საქმეში. ამიტომაც, დადგა საკითხი, რეგიონში სტაბილურობის მიღწევის აუცილებლობასთან დაკავშირებით. საქართველოს ხელისუფლებამ, წამოაყენა, რამდენიე სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც ხელს შეუწყობს, რეგიონში მშვიდობიანი, თანაცხოვრების, პირობების დამკვიდრებას.

## სარჩევი

შესავალი.....	6
თავი პირველი: საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები კავკასიის რეგიონში და მისი გავლენა რეგიონული უსაფრთხოების პირობებზე.....	13
1.1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გარემო და მისი გეოპოლიტიკური ასპექტები.....	14
1.2. საქართველოს სამშვიდობო ინიციატივების („ერთიანი კავკასიური სახლის“ იდეა და მშვიდობიანი კავკასიის“ ინიციატივა) არსი და მათი გავლენა რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.....	16
1.3. საქართველოს პოლიტიკური კურსის „კავკასიური“ გამოწვევები და მათი გეოპოლიტიკური ასპექტები (პოლიტიკური კონფლიქტები, ტერიტორიული პრეტენზიები და ეკონომიკური სანქციები).....	19
თავი მეორე: საქართველოს როლი კავკასიის რეგიონის გეოეკონომიკური განვითარების საქმეში.....	30
2.1. კავკასია-კასპისპირეთის ენერგორესურსების პოლიტიკა და საქართველოს გეოეკონომიკური ფაქტორი.....	33
2.2. საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი და მისი როლი რეგიონული ეკონომიკის განვითარების საქმეში.....	34
2.3. ანაკლიის პორტის გეოპოლიტიკური ბრძოლის პოლიტიკური ასპექტები.....	37
თავი მესამე: რეგიონული სტაბილურობის მიღწევების პოლიტიკური მიდგომები 21-ე საუკუნეში და საქართველოს საგარეო პოლიტიკის პარადიგმა.....	41
3.1. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მისი გავლენა, კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებაზე.....	43

3.2. რეგიონული პოლიტიკური კონფლიქტების გეოსტრატეგია და საქართველოს პოზიცია.....	44
3.3. საქართველოს სამშვიდობო ინიციატივების რეალური პერსპექტივები	
რეგიონული კონფლიქტების მოგვარების კონტექსტში.....	55
დასკვნა.....	58
რეკომენდაციები.....	62
გამოყენებული ლიტერატურა.....	67

## შესავალი

საქართველო, თავისი არსებობიდან მოყოლებული, დღემდე, ყოველთვის იყო ყურადღების ცენტრში მისი გეოგრაფიული მდებარეობის და ბუნებრივი ბარიერის გამო, რომელიც ქვეყანას იცავდა მტრისგან და ასევე უმპკლესი სავაჭრო გზა გადიოდა მასზე. რადგანაც იგი მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე, ქმნის დამაკავშირებელ დერეფანს, სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით, რაც მაშინაც და ახლაც იქცევს ყურადღებას და რომელი სფეროც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფოს განვითარებაში. საქართველოს იდეალური მდგომარეობა აქვს იმ კუთხითაც, რომ მას აქვს, როგორც სახმელეთო, ასევე ზღვაზე გასასვლელი გზა. საუკუნეების მანძილზე ქვეყანა გამხდარა, როგორც შორეული მტრის, მაგალითისთვის, რომის იმერია, დაპყრობის მიზანი, ასევე კავკასიის რეგიონის ქვეყნებისა თუ იმპერიების: სპარსეთის იმპერია, აქემენიდთა და სასანიანთა ირანი, თურქ-სელჩუკები, მონღოლები. გამომდინარე იქედან, რომ საქართველო, კავკასიის რეგიონის შემადგენელი ქვეყანაა, ის ყოველთვის ცდილობდა ეწარმოებინა ისეთი პოლიტიკა საგარეო კუთხით, რომ მეზობელ ქვეყნებთან ჰქონოდა კარგი ურთიერთობა, თუმცა ხანდახან უწევდა მკაცრი პოლიტიკის გატარება, რაც მის გავლენას ამ რეგიონში თვალსაჩინოს ხდიდა და ხანდახან შორეულ დასავლეთშიც საუბრობდნენ საქართველოს სიდიადეზე. დღეს-დღეობით საგარეო პოლიტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის და წარმოადგენს მის ხერხემალს. საგარეო პოლიტიკა არის საერთაშორისო ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი. ასევე, გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება ქვეყნის მიერ, რათა მიღწეული იყოს ქვეყნის ინტერესები საერთაშორისო დონეზე.<sup>1</sup> ასევე არის პოლიტიკის ის სფერო, რომელიც საშუალებას იძლევა შექმნას დამაკავშირებელი სახელმწიფოსა და საერთაშორისო გარემოს საზღვარს შორის. საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული მიზანია ქვეყნის

---

<sup>1</sup> მაისაია ვ. (2013) საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004), თბილისი, სუხიშვილის უნივერსიტეტი, თავი I, საგარეო პოლიტიკური პროცესი, როგორც სასწავლო კურსი: საგარეო პოლიტიკის პროცესის ანალიზის მეთოდები და მიდგომები, -მე18 გვ.

სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. ქვეყნის გასამთლიანებლად საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების უზრუნველყოფა, ქვეყნის დეოკუპაციის, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების, საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის შერიგებისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა, ადგილზე მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების მიღწევა.<sup>2</sup> დროთა განმავლობაში შეიცვალა ქვეყნების მოწყობა, მმართველობის ფორმები, პოლიტიკა. როგორც ადრე აღარ გახდა საჭირო ქვეყნის მახვილითა და ფართით დაცვა. დაიწერა ბევრი თეორია თუ როგორ შეიძლება ქვეყანა დაასუსტო ომის გარეშე. ამ თეორიებიდან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ჯოზეფ ნეის „რბილი ძალის თეორიას“, რომელსაც დღეს-დღეობით, ყველა ქვეყანა იყენებს შეძლებისდაგვარად და ცდილობს მისთვის არაკეთილმოსურნე, სხვა სახელმწიფო დაასუსტოს და გატეხოს, იმ გამოთქმისა არ იყოს: „ციხე შიგნიდან ტყდება“. ჯოზეფ ნეის „რბილი ძალის თეორიის“ ერთ-ერთი პრინციპი სწორედ ისაა, რომ ქვეყანაში შექმნას დაპირისპირებული ჯგუფები, რომლებიც ძირს გამოუთხრიან ქვეყანას. დღეს-დღეობით, ასევე იყენებენ სხვადასხვა თეორიას, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს მართვის თუ უსაფრთხოების კუთხით, რომელზეც ქვემოთ

ვისაუბრებ.

**თემის აქტუალობა** - დღეს-დღეობით საქართველო არის რთულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ პირობებში. საქართველოს არჩეული აქვ კურსი დასავლური პოლიტიკისკენ, მაგრამ, რადგანაც ის არის კავკასიის რეგიონის ქვეყანა, აწყდება

---

<sup>2</sup> 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია - თავი 3. საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, მიზანი 1: სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. გვ.3. <http://www.mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx>

წინააღმდეგობებს მისი მეზობელი ქვეყნებისგან, განსაკუთრებით კი გამოირჩევა რუსეთი. ეს უკანასკნელი არ აძლევს საშუალებას საქართველოს, რომ გააკეთოს არჩევანი და მიზეზად მოაქვს მის სიახლოვეს მყოფი ქვეყნების პოლიტიკური არჩევანი და მათი მხრიდან გაერთიანება საერთაშორისო ორგანიზაციასა თუ სამხედრო გაერთიანებაში, რომელიც საზიანოა რუსეთის პოლიტიკისთვის. საქართველოს სვლა, რომ შეეფერხებინა 2008 წელს წამოიწყო ომი და ქვეყნის 20% დაიპყრო. დაუწესა ეკონომიკური სანქციები, რომ წელში გაეტეხა ქვეყანა. ზოგადად კი ეკონომიკის სფერო ის მამოძრავებელი ბირთვია, რომელზეც აწყობილია ქვეყნის თავდაცვა, უსაფრთხოება, განათლება, განვითარება კულტურის მხრივ და ამის არ ქონის შემთხვევაში ფაქტობრივად სახელმწიფო წყვეტს არსებობას. ამაში ჩართულია სხვა ქვეყნებიც, მაგალითად სომხეთი, რომელიც რუსეთის მოკავშირეა და ცდილობს საქართველოში განვითარებული მოვლენები სათავისოდ გამოიყენოს, ისევე რუსეთის საამებლად, თუმცა საკუთარ თავსაც არ ივიწყებს. ერთ-ერთი მიზანი კი, რომელიც აქვს სომხეთს, არის ჯავახეთის მის საზღვრებში მოქცევა და ის მიზეზიც, რომ ეს მხარე ეთნიკურად სომხებით არის დასახლებული ცდილობს გამოიყენოს სათავისოდ. ასევე არიან დაინტერესებული მხარეები თურქეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან, თუმცა სომხეთისგან განსხვავებით უფრო რბილი ძალის პოლიტიკით გამოირჩევიან. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს ექსპორტის 60% რუსეთზე გადის, ესეც აძლევს საშუალებას ამ უკანასკნელს, რომ ეკონომიკური ბერკეტები აამოქმედოს.

**საკვლევი კითხვები** - 1. რა როლი უკავია, თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკის პროცესებში, „კავკასიური პოლიტიკის“ მიმართულებას და როგორ აისახება ეს ტრენდი, ქვეყნის ეროვნული ინტერესების, რეალიზაციის საქმეში?

2. რა როლი გააჩნია, საქართველოს თანამედროვე ეტაპზე, კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების, წარმართვის საქმეში?



3. რა ფაქტორები განსაზღვრავს საქართველოს საგარეო პოლიტიკის პროცესებისა და მიზნების, ჩამოყალიბებასა და რეალიზაციას, როგორც რეგიონალურ ისე, გლობალურ დონეზე?

**ჰიპოთეზა** - 21-ე საუკუნის, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, თანდათანობით იკვეთება კავკასიის რეგიონის, გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც განისაზღვრება, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფაქტორებით. 1991 წლიდან მოყოლებული, როცა გაქრა ბიპოლარული სამყარო, კავკასიაში არსებულმა, რთულმა, პოლიტიკურმა პროცესებმა, თავისი წვლილი შეიტანა, საერთაშორისო უსაფრთხოების მოწყვლადობის საქმეში. ამიტომაც, დადგა საკითხი, რეგიონში სტაბილურობის მიღწევის აუცილებლობასთან დაკავშირებით. საქართველოს ხელისუფლებამ, წამოაყენა, რამდენიც სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც ხელს შეუწყობს, რეგიონში მშვიდობიანი, თანაცხოვრების, პირობების დამკვიდრებას.

**კვლევის მიზანი** - კვლევის მიზანია, გასცეს კითხვები საკვლევ კითხვებს და ასევე გარემოებები და ფაქტორები, რომელიც ხელს შეუწყობს, საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარმოებას, კავკასიის რეგიონში, თავდაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკის, მშვიდობიანი ინიციატივების, კონფლიქტების მოგვარების კუთხით და ასევე მისცემს მას საშუალებას, რომ იყოს ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა ამ რეგიონის.

**კვლევის ამოცანა** - კვლევის ამოცანაა, რომ გაადრძაოს ცოდნა იმ ადამიანებში, ვინც დაინტერესებულია ქვეყნის საგარეო პოლიტიკითა და მიმდინარე მოვლენებით, რომელიც კავკასიის რეგიონშია. ასევე დაეხმაროს ამ მიმართულების მქონე პროფესორს, სტუდენტს, მისცეს მათ ახალი ხედვა, რომელიც დაეხმარებათ სამომავლოდ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის უკეთ დაგეგმვისთვის.

**მეთოდოლოგია** - ნაშრომის განმსაზღვრელია თეორიები, რომელსაც გამოვიყენებ არის: ჯოზეფ ნეის „რბილი ძალის“ თეორია - ეს თეორია გულისხმობს სახელმწიფოებსა და ქვეყნებს შორის ომს არა სამხედრო კუთხით. თეორია ეხება ისეთ სფეროებს, როგორც არის ეკონომიკა, თავდაცვა, ჯანდაცვა, კულტურა, რელიგია და ცდილობს, რომ მათზე ზემოქმედებით დარტყმა მიაყენოს სახელმწიფოს. დღეს-დღეობით იყენებენ

ეკონომიკურ სანქციებს, მოქმედი ორგანიზაციებიდან გარიცხვას, კონფლიქტის გაღვივებას ქვეყნები ერთმანეთის წინააღმდეგ ან „მესამე ძალა“, როგორც ეძახიან მხარეს, რომელიც ცდილობს ორი ქვეყანა დააპირისპიროს ერთმანეთს და ამით გაატაროს მისი ინტერესი.

„ ძალთა ბალანსის“ თეორია - ამ თეორიის ამოსავალი წერტილი არის, ქვეყნების გადანაწილება სხვადასხვა პოლუსზე ისე, რომ იყოს დაცული ბალანსი და არ მოხდეს, რომელიმე მხარეს ძალის თავმოყრა და საფრთხე არ შეექმნას, ისედაც ანარქიულ სისტემას. ძალთა ბალანსის თეორია განიხილება, როგორც გარანტი მშვიდობის, სახელმწიფოებს შორის.

„მიტმასნისა და დაბალანსების თეორია“ - ეს თეორია გულისხმობს, ძირითადად პატარა ქვეყნების მხრიდან, რომელიმე ძლიერ ქვეყანასთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან ურთიერთობის დამყარებას. იმიტომ, რომ იყოს დაცული და ასევე დაბალანსოს ის მდგომარეობა, რომელიც აქვს სისტემას.

„თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია - მოცემულ თეორიაში განხილულია ქვეყნების მიერ გაერთიანება მშვიდობის შენარჩუნების კუთხით და ასევე საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სახელმწიფოს უსაფრთხოების მხრივაც. ქვეყნებს შორის შეთანხმებული თანამშრომლობა უფრო მეტ შანს აძლევს ქვეყნებს, რომ დაიცვან თავი მოწინააღმდეგისგან.

„დემოკრატიული მშვიდობის“ თეორია - დემოკრატიული მშვიდობის თეორია საფუძველს კანტის ნაზრევებიდან იღებს. იგი ჯერ კიდევ 1795 წელს საუბრობდა „მარადიულ მშვიდობაზე, რომელიც ნაწილობრივ ეფუძნებოდა სახელმწიფოთა შორის რესპუბლიკურ კონსტიტუციონალიზმს. კანტი წერდა, რომ მარადიული მშვიდობის მიღწევა შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, როდესაც მოხდებოდა მშვიდობის სამი „განმსაზღვრელი მუხლის“ საყოველთაოდ აღიარება. ეს მუხლებია: 1. სახელმწიფოს სამოქალაქო კონსტიტუცია რესპუბლიკური უნდა იყოს; 2. საერთაშორისო სამართალი თავისუფალი სახელმწიფოების ფედერალურ კავშირს უნდა ეფუძნებოდეს; 3. საერთაშორისო სამართალი უნდა გახდეს მსოფლიო მოქალაქეობის სამართალი,

რომელიც საყოველთაო სტუმართმოყვარეობის პირობებით შემოიფარგლება. დემოკრატიული მშვიდობის თეორიის ერთ-ერთი ღირსებაა ისიც, რომ ის პარსიმონიულია და ემპირიულადაც შემოწმებადი. დემოკრატიული მშვიდობის თეორია დღეს დასავლეთში საგარეო პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი საფუძველია.

**კვლევის მეთოდები** - თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა თვისობრივი კვლევის მეთოდები: მონაცემთა ანალიზი, ისტორიულ-აღწერილობითი, დაკვირვება, კონტენტ-ანალიზი.

**თემის პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა** - მოცემული ნაშრომი გამოადგება ამ მიმართულებით მომუშავე და ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც სურს აწარმოოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა** - თემა შედგება სამი თავისა და ცხრა ქვეთავისგან, ბოლოს კი არის დასკვინი ნაწილი, რეკომენდაციები და გამოყენებული ლიტერატურა.

**სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა** -1. ვახტანგ მაისაია (2013 ) საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ(1991-2004), თბილისი, სუხიშვილის უნივერსიტეტი -მოცემულ ლიტერატურაში საუბარია საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებსა და დეტერმინანტებზე ცივი ომის შევდეგ. როგორც რეგიონალურ, ასევე გლობალურ დონეზე. მიდგომაზე, რომელიც უნდა ჰქონდეს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ჭრილში.

2. ვახტანგ მაისაია (2003) შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები, *კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, პარიზი* - ავტორი ხაზს უსვამს შავი ზღვის აუზის მნიშვნელობას და საუბრობს მასზე პოლიტიკური კუთხით, ასევე გეოსტრატეგიულად, რამდენად მომგებიანი მდგომარეობა აქვს იმ ქვეყნებს, რომლებსაც შავ ზღვაზე აქვთ გასასვლელი და რა ფუნქციას მატებს როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო კუთხით. ავტორი ასევე საუბრობს

*საერთაშორისო ინტერესზე შავი ზღვის აუზის მიმართ.*

3. ისმაილოვი, ელდარ და პაპავა, ვლადიმერ (2007) *ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები*. დიოგენე, თბილისი. - ავრორები საუბრობენ ცენტრალური კავკასიის გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობაზე. ასევე განხილული და გაანალიზებულია გეოგრაფიული პოლიტიკა, ეკონომიკის ჭრილში, მისი დადებითი მხარეები და თვითონ კავკასიის რეგიონის მნიშვნელობა გლობალურ დონეზე.

4. ირაკლი გორგილაძე (2009) *გეოპოლიტიკის საფუძვლები, გამომცემლობა უნივერსალი*, თბილისი - ავტორი საუბრობს გეორგაფიული და პოლიტიკური საფუძვლების თავისებურებებზე. ასევე, გეოგრაფიიდან გამომდინარე მისი საგარეო პოლიტიკის არსებობაზე, მის გავლენას ქვეყნის ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებაზე, სახელმწიფოთა ან სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციების გავლენას მათ ტერიტორიულ დაყოფასა და გადანაწილებაზე.

## თავი პირველი. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები კავკასიის რეგიონში და მისი გავლენა რეგიონული უსაფრთხოების პირობებზე

საქართველო წამყვან როლს ასრულებდა სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას შორის დიალოგისა და პოლიტიკის კუთხით. მისი მიზანი რეგიონში ურთიერთანამშრომლობის ზონის შექმნა იყო. 1996 წელს ედუარდ შევარდნაძემ ჩამოაყალიბა 6 პრინციპი, რომელიც საფუძველი უნდა ყოფილიყო, კავკასიასში გრძელვადიანი მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების.<sup>3</sup> საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი კავკასიის რეგიონში არის მიმართული მშვიდობისკენ. ქვეყანას სურს კარგი ურთიერთობა ნებისმიერ მეზობელთან, ასევე ის იყენებს თავის მდებარეობას, რათა მიაღწიოს ეკონომიკურ სიძლიერეს, ამით ხელს უწყობს კავკასიის რეგიონისადმი ინტერესის გაზრდას საერთაშორისო საზოგადოების თვალში. საქართველო ცდილობს, როგორც სააკუნეების მანძილზე, იყოს მულტულტურული და მულტირელიგიური ქვეყანა, ხელი შეუწყოს სხვადასხვა რელიგიისა თუ ნაციის ადამიანების თანაცხოვრებას, რაც უფრო მიმზიდველს ხდის მას. დღეს-დღეობით კი პრიორიტეტია ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება, მდგრადი ეკონომიკის ჩამოყალიბება, თავდაცვის უნარიანობის გაზრდა, განათლების დონის აწევა, ჯანდაცვის გაუმჯობესება, მისი ისტორიული ფუნქციის დაბრუნება რაც გულისხმობს, აბრეშუმის გზის აღდგენას და ასევე, ახალი ფუნქციების შეთავსებას, რომელიც წაადგება ქვეყანას. გადაიდგმება ნაბიჯები „ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის და მისი სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო სტრატეგიული დოკუმენტების ფარგლებში, შემუშავებული ინსტრუმენტებისა და ხედვებისადმი საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის

---

<sup>3</sup> მაისაია ვ. (2013) საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004), თბილისი, სუხიშვილის უნივერსიტეტი. თავი IV, საქართველო და კავკასია-კასპიური რეგიონული პოლიტიკა - ტრანსრეგიონული ანაღზის დონე. გვ.70.

მოსაპოვებლად.<sup>4</sup> როდესაც საუბარია საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და ამოცანებზე, უნდა გათვალისწინებული იყოს, ქვეყნის უსაფრთხოების გეოგრაფიული მნიშვნელობა. სწორედ მოცემულ სივრცეში გამოიკვეთება, ქვეყნის გეოპოლიტიკური ფუნქციონირების საყურადღებო მომენტები.<sup>5</sup> საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ქვეყნის დემოკრატიული მიღწევების შემდგომი კონსოლიდაციის ხელშეწყობა და საზღვარგარეთ საქართველოს, როგორც დემოკრატიული, პროგრესული რეფორმების გამტარებელი, სტაბილური, მდიდარი კულტურისა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე ევროპული ქვეყნის იმიჯის განმტკიცება.<sup>6</sup>

### 1.1. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გარემო და მისი გეოპოლიტიკური ასპექტები

ბოლო წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ძირეულად შეცვალა საქართველოს უსაფრთხოების გარემო. 2008 წლის მოვლენებმა იმოქმედა, არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, არამედ კავკასიის რეგიონსა და მასში შემავალ ქვეყნებზე. რუსეთმა მოახდინა ქვეყნის 20%-ის ოკუპაცია და ამ ტერიტორიებზე განაღობა მისი ჯარი. ამით მან საქართველოს წაართვა შანსი, რომ ერთიანსა და სუვერენულს გაეგრძელებინა არსებობა მსოფლიოში, თუმცა დღეს ის მაინც იბრძვის, როგორც ოკუპირებული ტერიტორიების დარუნებისთვის, ასევე მისი პოლიტიკის

---

<sup>4</sup> საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. გვ.1. <http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.aspx>

<sup>5</sup> მაისაია ვ. (2013) საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004), თბილისი, სუბიშვილის უნივერსიტეტი. თავი III, საქართველოს სასიცოცხლო გეოპოლიტიკური სივრცეები და საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივები. გვ.38.

<sup>6</sup> 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია - მიზანი 4: ინსტიტუციური დემოკრატიის კონსოლიდაცია და საზღვარგარეთ ქვეყნის პოზიტიური იმიჯის განმტკიცება. გვ.1. <http://www.mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx>

გამოსწორებისა და შეცვლისთვის. ამასთან საქართველოზე გავლენას ახდენს არასტაბილური მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიასა და მთიან ყარაბაღში. ის მომენტი, რომ რუსეთმა ომთან ერთად მოახდინა ძალის დემონსტრირება, აქედან გამომდინარე კავკასიის რეგიონის ქვეყნებმა შეცვალეს თავისი პოლიტიკა და რიტორიკა რუსეთის მიმართ და ასევე საქართველოს მიმართაც შეიცვალა დამოკიდებულება, რაც რბილი ძალის მოქმედებით ვრცელდება. საქართველო კი ამ გარემოებებიდან გამომდინარე იძულებული შეიქნა გამოიყენოს მიტმასნების პოლიტიკა იმაზე მეტად ვიდრე აქამდე და მოექცეს ისეთი ძლიერი საერთაშორისო ორგანიზაციების რიგებში, როგორცაა ევროკავშირი და ნატო. ამით საქართველო შეძლებს ეკონომიკურად აღარ იყოს დამოკიდებული რუსეთზე. დღეს-დღეობით კი საქართველოს ბაზრის 60% რუსეთში გადის. რაც შეეხება ნატოს ამით საშუალება ეძლევა იყოს ძლიერი სამხედრო ორგანიზაციის წევრი და იმაზე მეტად დაცული ვიდრე ახლაა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რთული გეოპოლიტიკური გარემო აქვს გამომდინარე ზემოთ აღნიშნული სიტუაციიდან. ერთი მხრივ, საქართველოს მიზანია, რომ გახდეს ევროპული პოლიტიკის ნაწილი, ამავდროულად კი რუსეთიდან ზეწოლა იგრძნობა. საყურადღებოა ამ შემთხვევაში რუსული რბილი ძალისა და სპეცსამსახურების მოქმედება საქართველოში. გავლენა შიდა პოლიტიკაზე, პოლიტიკურ პარტიებზე, ასევე სოციალურ ფონზე, საზოგადოების მნიშვნლოვან თემებზე და ას ცდილობს რუსეთი, რომ საქართველოში შექმნას არასტაბილური გარემო და ხელი შეუშალოს მას გახდეს ევროპული პოლიტიკის ნაწილი. 2008 წლის შემდეგ რუსეთი ყველა მხრიდან ცდილობდა საქართველოში დაპირისპირების კერების გაჩენას და ცდილობდა სიტუაციის დაძაბვას, საოკუპაციო ხაზთან, პანკისის ხეობაში, ჯავახეთში, დავით-გარეჯში. ბოლო კი იყო რუსი დეპუტატის, სერგეი გავრილოვის ხილვა პარლამენტში, რამაც ქართული მოსახლეობის პროტესტი გამოიწვია. ეს გამოიყენეს ოპოზიციურმა ძალებმა და სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ საკანონმდებლო ორგანო დადგა საფრთხის ქვეშ, რის შედეგებსაც ახლა ვიმკით. რუსეთი კი ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს ისევ,

პროვიკაციების მოწყობას და საქართველოსთვის ხელის შეშლას, რომ გახდეს ევროპული პოლიტიკის ნაწილი. რაც შეეხება უსაფრთხოების გარემოს გამოსწორებას, საქართველოს აქვს ამის პოტენციალი და თუ ის აწარმოებს სწორ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, დაიბრუნებს თავის ისტორიულ ფუნქციას და აღადგენს „აბრეშუმის გზას“, მაშინ ის გახდება ძლიერი ყველა სფეროთი და შეძლებს, როგორც მოგერიებას რბილი ძალის, ასევე ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების უფრო მეტი შანსი ექნება.

## **1.2. საქართველოს სამშვიდობო ინიციატივების („ერთიანი კავკასიური სახლის“ იდეა და მშვიდობიანი კავკასიის“ ინიციატივა) არსი და მათი გავლენა რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში**

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს რთული გეოპოლიტიკური სიტუაცია აქვს, ცდილობს, გამოიჩინოს სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც დადებითად იმოქმედებს, როგორც მასზე, ასევე მთლიანად კავკასიის რეგიონზე. სამშვიდობო ინიციატივების არსია, კონფლიქტების მოგვარება კავკასიის რეგიონში და ურთიერთშეთანხმებულად მოქმედება რეგიონის გასაძლიერებლად. ერთიანი კავკასიის იდეა სათავეს იღებს მე-11 საუკუნის 70-იანი წლებიდან, მისი სულისჩამდგმელი კი ლეონტი მროველია.<sup>7</sup> მას უნდა დაესაბუთებინა კავკასიური სამყაროს ერთობა და საქართველოს მმართველთა კურსის საფუძვლიანობა, რომელიც

---

<sup>7</sup> კეკელიძე.კ. ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწრობაში. - კეკელიძე.კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატორის ისტორიიდან, I..თბილისი 1956, გვ.169-182.



კავკასიის გაერთიანებისკენ იყო მიმართული.<sup>8</sup> მე-11 საუკუნეში ჩამოყალიბებული იდეოლოგიურ-პოლიტიკური კონცეფცია მომდევნო საუკუნეებშიც „გამოცოცხლდებოდა“ ხოლმე. ერეკლე მე-2-ეს დროს გაჩნდა იდეა სამხრეთ კავკასიის გაერთიანებისა, მისი ხელისუფლების ქვეშ.<sup>9</sup> „ერთიანი კავკასიის იდეა“ რომელიც ზვიად გამსახურდიას ეკუთვნოდა ა დასცალდა სამწუხაროდ. ის ცდილობდა კავკასიელ ხალხთან დამეგობრებას. მას მხარი აუბა ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯოხარ დუდაევიმ თუმცა ეს იდეა არ განხორციელდა, რადგანაც საქართველოში სიტუაცია აირია, პრეზიდენტი კი იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა, არსებული მძიმე ფონის გამო, რომელიც მას უქმნიდა საფრთხეს. თუმცა მაინც ვერ გაეცა მის მტრებს და მოკლეს. „მშვიდობიანი კავკასიის“ იდეა კი ეკუთვნოდა ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც ისახავდა რეგიონის სტაბილურობასა და მის გაძლიერებას, მაინც ვერ მოხერხდა მოხდა მისი განხორციელება. ექვგარეშეა, რომ საუკუნეების მანძილზე კავკასიის გაერთიანების იდეა არ იკარგე და დროდადრო გამოჩნდება ხოლმე, მაგრამ ხან შეუთანხმებლობის და ძირითადად მესამე ძალის ჩარევის გამო ვერ შეესხა იდეას ფრთები. თვითონ იდეა რომ საფუძველშივე აზრს იყოს მოკლებული არც 21-ე საუკუნეში დაიბადებოდა თავიდან და რუსეთსაც არ ექნებოდა შიში მისი განხორციელების. ამიტომაცაა, რომ ეს უკანასკნელი ანხორციელებს „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკას კავკასიის რეგიონში და დღემდე ცდილობს, რომ ისე დაანაწევროს და გადაკიდოს კავკასიელი ხალხი ერთმანეთს, რომ ვეღარ შეძლონ გაერთიანება. ვფიქრობ, რომ ეს არა მხოლოდ რუსეთს, არამედ არც სხვა ჰეგემონ ქვეყანას აწყობს, კავკასიის რეგიონის გამთლიანება და მისი სახით მესამე ძალის შექმნა. არის რიგი საკითხები, რაც გამომსასწორებელია, ხოლო ამის შემდეგ შეიძლება მისი განხორციელება. დემოკრატიის პირობებში, როცა ქვეყნები დაყოფილია, პოლიტიკურ პარტიებად შეუძლებელია და შეიძლება ითქვას მიმდინარეობს „შინა

<sup>8</sup> ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა - ქართლის ცხოვრება, I. თბილისი, 1955.

<sup>9</sup> ტუხაშვილი. ლ. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში - კრებ: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1972.

ომი“, რომელიც მართულია ასევე გარე ძალის მიერ, ამ იდეის განხორციელება შეუძლებელია. ჯერ უნდა მოხდეს კავკასიის რეგიონში არსებული ქვეყნების, შიდა პოლიტიკური მდგომარეობის მოწესრიგება და ხალხის გაერთიანება ერთი იდეის ირგვლივ. როცა თითოეული ქვეყანა მიიღებს მსგავს გადაწყვეტილებას, შემდეგი ნაბიჯი იქნება უკვე გაერთიანებაზე საუბარი. პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს გარე ძალების მიერ შემოღწევების ჩახშობა და საუბარი იმაზე თუ რამდენად დიდი ძალა იქნება ერთიანი კავკასია და ამ იდეის პროპაგანდა, რაც უკვე თავის შედეგს გამოიღებს და ჩამოყალიბდება ერთიანი სივრცე, რომელიც იქნება გასათვალისწინებელი ძალა მსოფლიოში, მაგრამ როგორც მედალს აქვს ორი მხარე, ასევე ამ იდეასაც დადებითი და უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. გამომდინარე იქედან, რომ კავკასიის რეგიონი მდიდარია, მდებარეობს ევროპისა და აზიის შუა წელზე, ეს მას აძლევს შანსს, რომ სავაჭრო გზა და უკვე ფართო მოცულობის აბრეშუმის გზა გამოიყენოს ეკონომიკის გასაძლიერებლად, ასევე ის ნავთობის მარაგები, რომლებიც არსებობს კავკასიის რეგიონში აზერბაიჯანსა და ირანში და ბუნებრივი აირის მარაგები. შავი ზღვა და სპარსეთის ყურე ცალკე, აამაღლებს სავაჭრო ფუნქციას, ასევე ის ბუნებრივი ბარიერი, რომელიც მთების სახით არსებობს კავკასიის რეგიონში უზრუნველყოფს მის თავდაცვას, გაერთიანებულ სამხედრო შეიარაღებასთან ერთად. ის მომენტი, რომ ერთიანი კავკასიის იდეის განხორციელება შესაძლებელია, ამის მაგალითად შეიძლება საქართველო მოვიყვანოთ. ქვეყანა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო მულტიკულტურული და მულტიეთნიკური. უარყოფით მხარეს რაც შეეხება ერთიანი კავკასიის, მხოლოდ ის არის, რომ, შეიძლება მიზანი გახდეს რუსეთის ან სხვა ჰეგემონი სახელმწიფოს, რომელთაც არ აწყობთ მესამე ძალა მსოფლიოში. ამ იდეის დაბადებიდან დღემდეც არ აწყობდა კავკასიის გაერთიანება გარე ძალებს, რადგან ეს საფრთხეს შეუქმნის მათ. ექვგარეშეა ის, რომ ამ იდეამ დასაბამიდანვე შედეგი გამოიღო, თუნდაც იმ კუთხით, რომ დღემდე ცოცხლოს კავკასიელთა ცნობიერებაში და მეორე მიზეზი, რაც ამ იდეას აცოცხლებს, არის კავკასიელი ხალხის შეუდრეკელება და ბრძოლისუნარიანობა იმ

გარე ძალის მიმართ, რომელსაც სურს მისი დამორჩილება.

**1.3. საქართველოს პოლიტიკური კურსის „კავკასიური“ გამოწვევები და მათი გეოპოლიტიკური ასპექტები(პოლიტიკური კონფლიქტები, ტერიტორიული პრეტენზიები და ეკონომიკური სანქციები)**

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს არჩეული აქვს დასავლური, პოლიტიკური კურსი აქვს, რაც კარგია ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისთვის, თან ახლავს უარყოფითი მოვლენები, რომელიც კავკასიის რეგიონში არსებული მდგომარეობით არის განპირობებული. საქართველო, რომელიც მდებარეობს ცენტრალურ კავკასიაში და მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ყოველთვის იყო სხვისი ინტერესიც ობიექტი, დღემდე რჩება აქტუალურ თემად. ამ შემთხვევაში, რუსეთი, რომელის მიზანია მთლიანი კავკასიის დამორჩილება და ისევ საბჭოთა კავშირის საზღვრების აღდგენა, გამალებით ცდილობს საქართველოს დაპყობას და თუ ის შეძლებს ამას, მას ექნება „კავკასიის გასაღები“ საქართველოს სახით, საიდანაც უკვე მარტივი იქნება მისთვის გააკონტროლოს მთლიანი კავკასია. 2008 წლის ომმა ცხადყო რუსეთის გეგმები და გამოააშკარავა. გამომდინარე იქედან, რომ რუსეთს არ სურს საქართველოს სახით, კავკასიის რეგიონში არსებობდეს განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ქვეყანა ამიტომ ის ყველანაირად ცდილობს, რომ საქართველოში იყო დესტაბილიზაცია და მას შეუქმნას არამდგრადი ქვეყნის იმიჯი. ამის ნათელი მაგალითი 2008 წლის ომი იყო.

ავგისტოს ომმა რეგიონში და მის გარშემო ახალი, განსხვავებული რეალობები შექმნა, მაგრამ მთავარი კითხვა ის არის, მოხსნა თუ არა ამ რეალობებმა დღის წესრიგიდან რეგიონისათვის (როგორც ვიწრო, ისე უფრო ფართ, მაგალითად მთელი კავკასიის ან შავი ზღვის რეგიონისათვის) და საერთოდ საერთაშორისო

უსაფრთხოებისათვის ყველაზე საშიში – არსებული პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების საკითხი.<sup>10</sup> აღმოჩნდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული ოპერაცია საფუძვლიანად იყო მომზადებული. ხდებოდა კოპირება იმისა, რაც დასავლეთმა სერბიის ანდა სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ განახორციელა. „საქართველოს ხელისუფლებას ბრალი უნდა დასდებოდა აფხაზეთის ან ოსების გენოციდში, რომლებიც გარდა იმისა რომ პატარა ხალხები არიან, რუსეთის პასპორტებითაც არიან მომარაგებულნი. საქმეში მოსკოვი ჩაერთვებოდა და „მშვიდობისათვის იძულების“ ოპერაციის ჩატარებით არა უბრალოდ ამხობდა საქართველოში არსებულ ხელისუფლებას, არამედ დამნაშავედ აცხადებდა და ასამართლებდა, როგორც ეს ყოფილ იუგოსლავიაში და ერაყში მოხდა.<sup>11</sup> რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, ერთ-ერთი დასამახსოვრებელი მომენტია ამ ქვეყნის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა საერთაშორისო სამართლის და მორალის ყველა წესი დაარღვია მოახერხა საქართველოს ორი ისტორიული რეგიონის ოკუპაცია. რუსეთმა ვერ გაანადგურ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. ამ ყოველივეს მოჰყვა უარყოფითი შედეგები რუსეთისთვის, კერძოდ, მან დაკარგა ნდობა საერთაშორისო დემოკრატიული საზოგადოების თვალში, მან დაკარგა საკუთარი „სამშვიდობო მანდატი“ და ეს პასუხისმგებლობა ევროკავშირმა საკუთარ თავზე აიღო.<sup>12</sup> საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს ყოველთვის ჰქონდა იმის ამბიცი, რომ აღედგინა ძველი საზღვრები და ყოფილი მოძმე რესპუბლიკები დაებრუნებინა თავის იურისდიქციაში. 1991 წლიდან, როცა ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით საქართველომ მეორედ გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რუსეთმა მიზანმიმართულად დაიწყო მოქმედება, რათა ეს პატარა ქვეყანა, ისევ მის

---

<sup>10</sup> კონსტანტინე ჟენტი - კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივები სამხრეთ კავკასიაში, რეზიუმე. გვ.1. <http://bspn.gfsis.org/ge/resources/articles/display/257>

<sup>11</sup> თემურ ქარელი - რუსეთის რეგიონალური კონფლიქტები და სამხედრო ძალის გამოყენება. თბილისი 2008 წ. გვ.31-35

<sup>12</sup> ნანა სეფერთელაძე - საქართველოს ნატოში გაწევრიანების გეოპოლიტიკური ასპექტები. პრობლემები და პერსპექტივები, თბილისი 2018. გვ.38.

დაქვემდებარებაში ყოფილიყო. სანამ, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლება მოვიდოდა მანამდე, საქართველომ გადაიტანა სამოქალაქო ომი, 9 აპრილის ტრაგედია, მოკლეს პირველი პრეზიდენტი, რაც განპირობებული იყო რუსეთის ხელშეწყობით. ედუარდ შევარდნაძის დროს ამოქმედდა ნაღმი აფხაზეთის რეგიონში. ამასთანავე, ორი დაჯგუფების არსებობამ სახელმწიფოში განაპირობა ჯერ მისი ორად გახლეჩა და დაპირისპირება ქართველებს შორის. აფხაზეთის ომის დროს დაილუპა ბევრი ადამიანი, დევნილად იქცნენ ქართველები საკუთარ მიწაზე და გამოაძევეს აფხაზეთიდან. ერთ-ერთი დასამახსოვრებელი და მძიმე მომენტი, რომელიც აფხაზეთის ომის მონაწილეებსა და საქართველოს ახსოვს, არის თვითმფრინავის ჩამოგდება ბაზუმერას აეროპორტში. გარკვეული დროის შემდეგ შეიცვალა საქართველოს ხელისუფლება და მთავრობაში მოვიდა მიხეილ სააკაშვილი და მისი პოლიტიკური გუნდა, რომელსაც განზრახული ჰქონდა, ქვეყნის დასავლურ პოლიტიკაზე გადაყვანისა. მიუხედავად იმისა, რომ ახალ ხელისუფლებას ჰქონდა პერსპექტივა, რომ გამოესწორებინა სიტუაცია ქვეყანაში და საქართველო გაემთლიანებინა ეს არ გააკეთა და დაიწყო მიზანმიმართული პოლიტიკა სახლმწიფოს წინააღმდეგ. იყო ცხინვალის მოვლენები, ასევე კოდორის ხეობის ჩაბარება, ინციდენტი განმუხურში და ამ ყველაფრის ფონზე, როცა საქართველოს გვერდით აშშ ედგა მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვიტა, რომ ცხინვალის რეგიონის აღება შეეძლო. ამავდროულად იცოდა, რომ ამერიკა არ ჩაებმებოდა ამ დაპირისპირებაში და მაინც გადაწყვიტა კონფლიქტში ჩარეულიყო, რომლის პროვოცირებას რუსეთი ახდენდა. შედეგმაც არ დააყოვნა და სააკაშვილმა მისი შეცდომების გამო, ქვეყანას დააკარგვინა არა მხოლოდ ცხინვალის რეგიონი, არამედ აფხაზეთიც, რომლის დაბრუნების შანსი კიდევ იყო. სახვეწარი გაუხდა უცხოელი დიპლომატებისთვის შუამდგომლობა და შემდგარ შეთანხმებასთან ერთად, რომელიც გაფორმდა რუსეთ-საქართველოს შორის, ამერიკამაც თავისი როლი ითამაშა და ჰუმანიტარული მისიის სახით გამოაგზავნა სამხედრო ხომალდი საქართველოში, რამაც ხელი შეუწყო დაპირისპირების დასრულებას. ცხინვალის

დაბრუნების ნაცვლად, მიხეილ სააკაშვილმა დაკარგა ის და მიიღო კიდეც, უამრავი ქართველი დევნილი ცხინვალიდან. დღემდე იმკის ქართველი ხალხი მიხეილ სააკაშვილის შეცდომას და რუსეთი საოკუპაციო ხაზს დღემდე წევს საქართველოს შუაგულისკენ. ამის ნათელი მაგალითია, 2019 წლის ხურვალეთის მოვლენები და იქ განვითარებული მოვლენები. სცენარი კი იყო ასეთი: 14 მარტს, ერთი დღით ადრე ხურვალეთის მოვლენებამდე გაერთიანებულმა ჯგუფმა, სახელწოდებით, „ძალა ერთობაშია“ გაავრცელა განცხადება, რომ აპირებდნენ საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მდებარე ადამიანების დახმარებას სამეურნეო საქმიანობაში. ამას მოყვა ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლების განცხადება, რომ ეს ზემოთხსენებული ჯგუფი გეგმავდა პროვოკაციას და თუ ასე მოხდებოდა ისინი ამ ჯგუფის წევრებსა და იქ მყოფ ადამიანებს დააკავებდნენ.

15 მარტს, დილით ინტერნეტში გავრცელდა ინფორმაცია, სურათით თანდართული, რომ ოკუპანტებმა გადმოკვეთეს საოკუპაციო ხაზი და გადმოვიდნენ საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე. ამას მოყვა აჟიოტაჟი, შეიკრიბა მოსახლეობა, ჟურნალისტები და ჯგუფ „ძალა ერთობაშია“\_თან ერთად ცდილობდნენ შესულიყვნენ ხურვალეთის მიმართულებით, მაგრამ მათ, პოლიციამ არ მისცა საშუალება, რომ გზა გაეგრძელებინათ. შეუშვეს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია, ასევე, მუშაობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და ორივე სტრუქტურამ განაცხადა, რომ იქ მსგავსი ფაქტი არ დაფიქსირებულა. თუმცა რთულია „საინფორმაციო ომის“ პირობებში სიმართლე გაიგო თუ რა მოხდა სინამდვილეში.

პირველი: სურათი და ინფორმაცია, რომელიც გავრცელდა 15 მარტს, დილით, იყო ერთმანეთისთვის შეუსაბამო. კონკრეტულად კი სურათი გადაღებული იყო 6 თებერვალს, როცა ხურვალეთში, ოკუპანტებმა სათვალთვალ კოშკი აღმართეს.

მეორე: გავრცელდა ჟურნალისტების მიერ გადაღებული კადრები, რომელშიც ადგილობრივები საუბრობდნენ, რომ არ ყოფილა მსგავში შემთხვევა და არავინ გადმოსულა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე.

მესამე: ასევე გავრცელდა ინფორმაცია „ძალა ერთობაშია“-ს ჯგუფის მიერ, სადაც კადრში ჩანს, თუ როგორ ამბობს ერთ-ერთი მოსახლე, რომ: ამხელა ტერიტორია წაიღეს და ჩემი ბოსტანი აქ რა მოსატანიაო.

მეოთხე: კიდევ გავრცელდა ინფორმაცია, ინტერნეტში, სადაც საუბარი იყო ხურვალეთში არსებულ, კონკრეტულ გზაჯვარედინზე, რომელსაც უერთდება, ხურვალეთისკენ მომავალი გზა.

მეხუთე: უკვე სადამოსკენ, იტვირთება სურათები, სადაც თვალნათლივ ჩანან ნიღბიანი ადამიანები, რომლებიც გადმოვიდნენ ხურვალეთის ტერიტორიაზე - ეს განცხადება ეკუთვნის 15 მარტს, ხურვალეთში მყოფ ერთ-ერთ ადამიანს, რომელმაც თავიდან შეუსაბამო სურათი გაავრცელა, შემდეგ კი, თავისი არგუმენტის გასამყარებლად, მეორე სურათი ატვირთა.

მეხუთე: საინტერესოა ისიც, რომ საუბარია საოკუპაციო ხაზის გავლების მიმართულებაზე, სადაც ამბობენ, რომ ის თანდათან ემთხვევა, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საზღვარს.

ამ მოცემულ, ხუთ, სხვადასხვა ინფორმაციას შორის კავშირიც შეიძლება დავინახოთ, მაგრამ პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ თითოეული მონაწილის მიზანი.

პირველი: გავრცელებული ინფორმაცია და შეუსაბამო სურათი მიუთითებს იმასთან დაკავშირებით, რომ გასურს გამოიწვიო ყურადღება საზოგადოების, შეკრიბო ხალხი. გამოდის, რომ კონკრეტული მიზანი ჰქონდა ამ ადამიანს თუ გავითვალისწინებთ მის ქცევას. როცა შეეძლო, რომ მიემართა პოლიციისთვის ან სახელმწიფო სტრუქტურებისთვის ამის მაგივრად ინტერნეტში განათავსა არასწორი სურათი და

ინფორმაცია. ამ კონკრეტულ სიტუაციაში ეს ქცევა სულაც არ არის სახელმწიფოებრივი და თანაც საოკუპაციო ხაზთან სადაც შეიძლება, მცირედმა არეულობამ მძიმე შედეგი მოიტანოს. ეს ადამიანი ასევე აღმოჩნდა ჯგუფ „ძალა ერთობაშია“-ს წევრი, რომელთაც განაცხადეს 14 მარტს, რომ უნდა დახმარებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას სამეურნეო მიწის დამუშავებაში. თანაც ისიც საინტერესოა, რომ მათსავე გავრცელებულ ინფორმაციას, მეორე დღეს მოყვა, ისევ მათი თქმით ოკუპანტების გადმოსვლა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე.

მეორე: ჟურნალისტების მიერ გავრცელებული კადრები, რომელშიც ჩანს ადგილობრივი მცხოვრები და საუბრობს ოკუპანტების არგადმოსვლასთან დაკავშირებით ამას უპირისპირდება ჯგუფ „ძალა ერთობაშია“-ს გავრცელებული ვიდეო, რომელშიც სხვა ადგილობრივი მცხოვრები არ ადასტურებს ინფორმაციას, მაგრამ ამბობს, რომ თუ, მის ბოსტანს წაიღებენ არ ადარდებს, ისედაც იმხელა ტერიტორია წაგვართვეს. ესეც კიდევ ერთი ინფორმაციული კოლაფსი, რომელიც ასეთ კრიტიკულ მომენტში სახიფათია და შეიძლება სიტუაცია, კიდევ უფრო დაძაბოს. იკვეთება ორი მხარე, რომელიც ცდილობს მისი სიმართლე დაამტკიცოს და საზოგადოებაზე ამ დროს, შეიძლება ითქვას რავინ ფიქრობ.

მესამე: ჯგუფ „ძალა ერთობაშია“-ს მიერ გავრცელებული ვიდეო და ის მცხოვრები, რომელიც საუბრობს მოცემულ სიტუაციაზე არის თითქოს ნეიტრალურად განწყობილი. იქ სადაც, წესით სიტუაცია ყველაზე მეტად უნდა იყოს დაძაბული, ადამიანი მშვიდად საუბრობს. იმაზე ნაკლებად არის აღელვებული, ვიდრე ზემოთ თქმული ჯგუფის ერთ-ერთი წევრი.

მეოთხე: გავრცელებული ინფორმაცია, სადაც საუბარია კონკრეტულ გზაჯვარედინზე არ გულისხმობს რაიმე მიზანს, უბრალოდ ნეიტრალური ინფორმაციაა და ლოგიკურიცაა თუ რატომ შეიძლება გადმოსულიყვნენ ოკუპანტები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე.



მეხუთე: საოკუპაციო ხაზის გავლების, მიმართულებას რაც შეეხება და კავშირს ინციდენტთან ასევე იწვევს კითხვებს. 14 მარტს, როცა გავრცელდა ინფორმაცია ჯგუფ „ძალა ერთობაშია“-ს მიერ, როგორ გახდა საოკუპაციო მხარისთვის ცნობილი ან რა მიზეზით მიაწოდეს ინფორმაცია?!

დასკვნის სახით შემძლია ვთქვა, რომ თითოეულ მხარეს მოცემულ სიტუაციაში მისი ინტერესი გააჩნდა. ფაქტია, რომ ჯგუფ „ძალა ერთობაშია“-ს მიერ გავრცელებულ, 14 მარტის ინფორმაციას, მოყვა მეორე დღეს გადმოსვლა საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების, რადგან მათთვის იდეალური შანსი იყო სიტუაციის დაძაბვის. მათი შემოსვლა ჰგავდა სიტუაციას იგავარაკიდან „კუ და მორიელი“ სადაც მორიელი ცდილობს კუს გაღიზიანებას და ბოლოს იმდენს იზამს, რომ კუ ,მორიელს წყალს გააყოლებს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში კარგია, რომ ასე არ მოხდა რადგან, ოკუპანტები ამას სათავისოდ გამოიყენებდნენ. იმას, რომ გადმოსულები იყვნენ ოკუპანტები, ამას ამყარებს თუნდაც, ინფორმაცია გავრცელებული გზაჯვარედინზე, რომელიც ახლოს მდებარეობს ოკუპანტების კოშკთან და ხელსაყრელი ადგილია ტერიტორიის გასაკონტროლებლად. ასევე პოლიციის დგომა ხურვალეთის დასაწყისთან მიუთითებს, რომ შემოსულები იყვნენ ოკუპანტები. შეიძლება ითქვას, ინფორმაცია დაიმალა, მაგრამ იმის ხარჯზე, რომ არ ყოფილიყო დაძაბულობა. ამისთვის იმუშავა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ და სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურმა და მიუხედავად დაგვიანებული რეაქციისა მაინც მოახერხეს სიტუაციის გამოსწორება. ასევე ინტერესი რუსეთის დიდია ასეთ საკითხში და ის ყოველთვის სათავისოდ იყენებს მსგავს მოვლენებს, რადგან მან ხელი შეუშალა საქართველოს ნატოში შესვლას და ამით მისი ინტერესები დაიცვა. ერთ-ერთი მისი მიზანია, რომ საქართველოს გავლით, სომხეთის მიმართულებით გაჭრას სამხედრო გზა და ამისთვის ის, ნებისმიერ სიტუაციას გამოიყენებს. საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მცემულ მოვლენაში გამოჩნდა, როგორც რუსეთის ინტერესი და მისი თამაშის წესები, ასევე საქართველოს შიგნით მყოფი პარტიებისა თუ ჯგუფების ინტერესები, რომლებიც ცდილობენ სათავისოდ გამოიყენონ

ნებისმიერი სიტუაცია და შედეგზე არ ფიქრობენ, რაც ჩემი აზრით უნდა შეიცვალოს და ამაში ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა. ეს ყველაფერი ცხადყოფს იმას, რომ რუსეთი არც თავის პოლიტიკას შეცვლის და საქართველოსაც არ დაანებებს თავს, ვიდრე კიდევ ერთხელ არ დაიპყრობს. რუსეთ-საქართველოს დაპირისპირება, კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია რუსული პოლიტიკა, რომელიც ცდილობს, დაყავი და იზატონეს პრინციპით გააკონტროლოს კავკასიის რეგიონისა და მის ინტერეში მყოფი ქვეყნები. ამ დაპირისპირებას გამო სრულიად შეიცვალა კავკასიის რეგიონის ქვეყნების პოლიტიკა, რადგან ძალის დემონსტრირების შემდგომ ეტაპზე ქვეყნები ირჩევენ გარკვეული პოლიტიკის გამყარებას, რომელიც ადრე ჰქონდათ ან მის ცვალებადობას იმ კუთხით, რომ მსგავსი ფაქტი არ განმეორდეს მისი მისამართით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დაისაჯა, ევროპული პოლიტიკის მხარდაჭერის გამო ის დღემდე აგრძელებს მისკენ სვლას და მისი წრაფის ნატოსა და ევროკავშირის გაერთიანებისკენ. სომხეთის პოლიტიკა დარჩა იგივე, უბრალოდ ის უფრო აღრმავებს ურთიერთობას რუსეთთან, რაც აისახება, თუნდაც აფხაზეთში ეროვნებით სომეხი ადამიანების ჩასახლებით და სომეხი ბიზნესმენები იქ ყიდულობენ მიწებს. ეს განპირობებულია იმით, რომ სომხეთში არის რუსული ბაზა და რომელიც განმსაზღვრელია სომხური პოლიტიკის, ასევე სომხეთის ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე ბოლო პერიოდში საინტერესოა სომხური ლობის აქტიურობა ჯავახეთის რეგიონში, რომელიც ეთნიკურად სომეხი მოსახლეობით არის დასახლებული უფრო მეტად და ალბათ სამომავლოდ უნდა განვიხილოთ ამ ლობის გააქტიურება, რაც უფრო იმაზეა დამოკიდებული თუ რამდენად სწორ და შუალედურ პოლიტიკას აწარმოებს საქართველო. აზერბაიჯანის პოლიტიკა თითქოს არ შეცვლილა კავკასიის რეგიონში, მაგრამ საყურადღებოა აზერბაიჯანის მხრიდან სამხედრო ტექნიკის შეძენა, რაც ალბათ თავდაცვითი პოლიტიკის გაძლიერებისთვის სჭირდება. ამავდროულად საინტერესოა ბოლო დროს განვითარებული მოვლენები საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის სადემარკაციო თემასთან დაკავშირებით და პროვოკაციული ქმედებები, რომელსაც აზერბაიჯანი დგამს.

დღეს-დღეობით საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოლის დაახლოებით 60% შეთანხმებულია, დარჩენილი კი დღემდე სადავო საკითხია და მიუხედავად იმისა, რომ 1996 წლიდან შეიქმნა საზღვრის დამდგენი კომისია, 23-ე წელია ვერ მივიღეთ გადაწყვეტილება და შევქმენით სახელმწიფო საზღვარი, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1921 წელს სერგო ორჯონიკიძემ უხელმძღვანელა საზღვრების დადგენას. ამ დროიდან მოყოლებული 1996 წლამდე არაფერი შეცვლილა, მაგრამ როცა დაიშალა საბჭოთა კავშირი, ამის შემდეგ დაიწყო საუბარი ტერიტორიების ხელახალ გადასინჯვაზე. სადავო ტერიტორიის ძირითად მიზეზად წარმოჩენილია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც საქართველოსთვის, როგორც ქრისტიანული სახელმწიფოსთვის კულტურული ძეგლია, რომელიც მე-6 საუკუნით თარიღდება, აზერბაიჯანელებისთვის კი, როგორც აცხადებენ ალბანური ძეგლია. ასევე საუბარი იყო ტერიტორიის გაცვლაზე, რომელსაც საქართველო სთავაზობს აზერბაიჯანს, დავითგარეჯის სანაცვლოდ, ეს ჟესტი, როგორც მეგობართან ურთიერთობის, მაგრამ დღემდე არ აქვს შედეგი. იყო შემთხვევა, როდესაც აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა გადაკეტეს კონკრეტულ შენობა-ნაგებობამდე მისასვლელი გზა, 2012 წელს და ამა წლის აპრილში. ასეთ სიტუაციაში ჩნდება კითხვა, თან როცა საკითხი ეხება მეგობარ სახელმწიფოს: არის თუ არა მისი მხრიდან მსგავსი ქცევა გამართლებული? რა არის მიზეზი ამის? - გამართლებული არ შეიძლება იყოს, რადგანაც, როცა შენ მეგობარ სახელმწიფოს ეხება საქმე ამ შემთხვევაში ნებისმიერ მოქმედებას მოყვება უკუქმედება, თან ისეთ პირობებში, როცა არსებობს მესამე ძალა, რომელსაც არ აწყობს საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრული ურთერთობა და იყენებს, როგორც შიდა პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობოებს. მიზეზი საინტერესოა ასევე ამ ქცევის. როცა ორივე ქვეყანას აკავშირებს მსგავსი ტრაგედიები. საქართველოში 9 აპრილი, აზერბაიჯანში ხოჯალის 26 თებერვლის მოვლენები, რომელსაც ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამას, რომ თავი გავანებოთ საქართველოს დამოკიდებულება აზერბაიჯანის მიმართ და ლოიალურობა რაც გულისხმოს თუნდაც ტერიტორიების

გადაცემას, მეგობრობის ნიშნად, საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელების მდგომარეობა, რომელიც შესაშურიც კია იმ კუთხით, რომ ისინი, როგორც საქართველოს მოქალაქეები სრულად არიან დაცულები და ისეთივე უფლებებით მოქმედებენ, როგორც ქართველები. გარდა ამისა საქართველო აზერბაიჯანს აკავშირებს ბაქო-თბილისი-სუფსა, ბაქო-თბილისი-ერზრუმი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტები და კიდევ სარკინიგზო ხაზი, რომელიც საქართველოს გავლით თურქეთში გადის და რომელსაც აქვს სატრანსპორტო ფუნქცია. ამ ყველაფრის ფონზე შეიძლება ისიც, რომ აზერბაიჯანის ქცევა ერთ ფრაზაში მოაქციო: პოლიტიკაში არ არსებობს მეგობრები, არსებობს საერთო ინტერესები და ვიდრე იქნება ინტერესი საერთო, მეგობრობასაც არაფერი ემუქრება. შეიძლება თუ არა აზერბაიჯანი მართული იყოს მესამე ძალის მიერ? ამ შემთხვევაში იგულისხმება რუსეთი რომელიც არაკეთილმოსურნეა ამ ორი სახელმწიფოს მეგობრობის. ამ ეჭვს აღვივებს ის გავრცელებული ინფორმაცია, რომელშიც საუბარი იყო თურქეთის, რუსეთისა და აზერბაიჯანის შეხვედრაზე, რომელიც ეხება საქართველოში არსებულ რკინიგზას და რომელზეც ეს უკანასკნელი არ მიიწვიეს. იქნება თუ არა შემდეგი ნაბიჯი საქართველოს ჩართვა ამ მოლაპარაკებაში ესეც საინტერესოა და საქართველოს არ მონაწილეობა ხომ არ იყო გამოწვეული ამ ეტაპზე ნიადაგის მომზადებით, რომ შემდეგში ამ უკანასკნელის მონაწილეობის შემთხვევაში ყველაფერმა ჩაიაროს მშვიდ გარემოში? გამორიცხული არაფერია, თუმცა ისიც საინტერესოა ჰქონდა თუ არა საუბარი ქართულ და აზერაიჯანულ მხარეს ამ საკითხზე და ასევე რა შედეგის მომტანი იქნება თუ, რუსეთი, როგორც პოლიტიკური მოთამაშე ჩაერთვება ამ საწტრანსპორტო ქსელში და მისი მონაწილეობა საფრთხეს, ხომ არ შეუქმნის საქართველოს, რადგანაც ჯავახეთის მხარე, ეთნიკურად სომხებით არის დასახლებული, ეს უკანასკნელნი კი რუსეთის მოკავშირეა, ვგულისხმობ თუნდაც რუსეთის ბაზას გიუმირში და ასევე აფხაზეთში სომხების ჩასახლებას, რომლებიც იქ ანვითარებენ ბიზნესს და აფხაზ მოსახლეობას გადააჭარბებენ კიდევაც უახლოეს წლებში თუ ასე გაგრძელდა. ძალიან ბევრი ფაქტორი იკვეთება და ამაზე

ქართულმა და აზერბაიჯანულმა მხარემ, როგორც მეგობრებმა უნდა ისაუბრონ. აზერბაიჯანული მხარის მადა იგრძნობა ისტორიული ჰერეთის კუთხითაც. როცა ეს უკანასკნელი არ აღიარებს საბჭოთა კავშირის მმართველობას მაშინ არც მისი დაკანონებული მიწა უნდა აღიაროს, მაგრამ აქ სხვა რამეა. ეს ტერიტორია მდიდარია ნავთობით, რაც საკმაოდ ძლიერი ბერკეტია ფინანსური უზრუნველყოფისთვის და არამგონია, აზერბაიჯანმა ეს ტერიტორია, მეგობრობის ნიშნად დაუბრუნოს საქართველოს. ასევე ვრცელდება ინფორმაცია, აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველების ცხოვრების პირობების შესახებ, რაც სრულებითაც არ უტოლდება საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების უფლებებს. საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან პირდაპირი მტერია რუსეთი, სომხეთი ფარულად, თურქეთიდან ისმის ხოლმე განცხადებები აჭარის ტერიტორიასთან დაკავშირებით. აზერბაიჯანის მხრიდან კი მსგავსი ქცევა გაუმართლებელია. როცა აზერბაიჯანული მხარე ამბობს, რომ დავით გარეჯის კომპლექსი მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა ამაში რას გულისხმობს ესეც საინტერესოა. მეგობარ და პარტნიორ ქვეყანასთან მიმართებით შეიძლება თუ არა საუბარი იმ კუთხით, რომ კონკრეტულ ტერიტორიას სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებ, მით უმეტეს, როცა ეს ტერიტორია ისტორიულად ეკუთვნის საქართველოს. სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორია განიხილება იმ შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება შენს მოწინააღმდეგეს და სურვილი გაქვს, რომ აკონტროლო მისი ქცევა და დაინახო თუ რას აკეთებს. ეს ფაქტი ხომ არ მიუთითებს იმას, რომ აზერბაიჯანს არასწორი მიდგომა აქვს საქართველოს მიმართ. იმ ტერიტორიაზე, რომელზეც დავა მიმდინარეობს აზერბაიჯანისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ვერ იქნება, მანამ, სანამ დავით გარეჯის მთლიდან კომპლექს არ მოაქცევს საკუთარ საზღვრებში, რომელიც უკვე შეიძლება განვიხილოთ, როგორც სტრატეგიული სიმაღლე. ასევე საინტერესოა, 1996 წელს შექმნილი კომისიის უმოქმედობა. ეს ხომ არ არის გამოწვეული იმით, რომ ვინმემ მოისყიდა ,რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ, არასამთავრობომ თუ მესამე ძალამ. ერთი მიზეზიც შეიძლება ითქვას თუ რატომ არ მოდის აზერბაიჯანი დათმობაზე. იმ შემთხვევაში

თუ ეს უკანასკნელი დავით გარეჯზე დავას შეწყვეტს ამ შემთხვევაში არ გამოორიცხავს მის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების გაქტიურებას ალბათ და მათგან ისეთივე უფლებების მოთხოვნას, რაც აზერბაიჯანელებს აქვთ საკუთარ ქვეყანაში, რაც ზედმეტი თავის ტკივილია მათთვის და ამიტომაც იქცევა მსგავსად. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ სახელმწიფო საზღვარი არის ის საკითხი, რომელიც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და მსგავსი დამოკიდებულება საზიანოა საქართველოსთვის და ხელს აძლევს სხვას, რომ ამით ზიანი მიაყენოს ქვეყანას.

## **თავი მეორე. საქართველოს როლი კავკასიის რეგიონის გეოეკონომიკური განვითარების საქმეში**

მას შემდეგ, რაც საქართველო შეუერთდა ევროპულ სამეზობლო პოლიტიკას, ამ პროცესის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შემუშავება ერთგვარი პოლიტიკური საფუძველი გახდა თანამშრომლობის გაღრმავებისთვის პრაქტიკულად ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო თანამშრომლობის განვითარებას ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის გააქტიურების აქტუალიზაციაში.<sup>13</sup> 2014 წლის თებერვალში ევროკავშირმა დაიწყო მოლაპარაკებები ენერგეტიკის გაერთიანებასთან საქართველოს მიერთების შესახებ. პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა და ჯერჯერობით საქართველოს კანდიდატის სტატუსი აქვს.

---

<sup>13</sup> ეკატერინე ზაქარაძე (2018) „კავკასიის რეგიონის ფუნქცია და აბრეშუმის გზის როლი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“, „ახალი აბრეშუმის გზის“ სატრანზიტო პოლიტიკა და ქვეყნის უსაფრთხოება, თავი II, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი. გვ.17. [http://gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/Avtoreferatebi/Sajaro\\_mmartv\\_July%202018/%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%20%E1%83%94%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90.pdf](http://gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/Avtoreferatebi/Sajaro_mmartv_July%202018/%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%20%E1%83%94%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90.pdf)

დღეისთვის ენერგეტიკულ სფეროში საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირთან ორმხრივ ფორმატში მიმდინარეობს, ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, რომელსაც მხარეებმა ხელი 2014 წელს მოაწერეს. ხელშეკრულება მხარს უჭერს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, მათ შორის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორცაა ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოძიება, მოპოვება და ტრანზიტი, განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტიანობა. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანების მხარდაჭერასაც, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ევროკავშირთან და სხვა ქვეყნებთან მრავალმხრივი ენერგეტიკული თანამშრომლობის ფორმატების შესაქმნელად. ამ პროცესის წარმატებულობისათვის ქვეყნის დემოკრატიზაციის პროექტის შემდგომი განვითარება გადამწყვეტი იქნება. გასულ წლებში დემოკრატიული რეფორმების გატარების მხრივ.<sup>14</sup> გამომდინარე იქედან, რომ საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე და დამაკავშირებელია ამ ორი რეგიონის, ასევე არის სატრანსპორტო ფუნქციის მატარებელი. ძველად იწოდებოდა, როგორც აბრეშუმის გზის მნიშვნელოვან მონაკვეთად, რაც დღესაც აქტუალურია და დაინტერესებას იწვევს, როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის მხრიდან. განსაკუთრებით კი დაინტერესებულები არიან კავკასიის რეგიონის ქვეყნები, რომელთაც საქართველო საშუალებას აძლევს, რომ ეს სატრანსპორტო ფუნქცია მათაც გამოიყენონ. მას შემდეგ, რაც საქართველო გამოვიდა რუსეთის საბურველიდან, მას შანსი მიეცა, რომ ეწარმოებინა ისეთი პოლიტიკა, რომელიც მის ცნობადობას, ეკონომიკურ მდგრადობას, თავდაცვის უნარიანობას გაზრდიდა და ხელს შეუწყობდა ქვეყნის აღმშენებლობას. სწორედ 1998 წლიდან იდგმება ნაბიჯი, როცა საქართველო ჩაერთო, საერთაშორისო პროექტში და ამას შემდეგ დღემდე მოყვება ინიციატივები. ერთ-

---

<sup>14</sup> ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის. გვ.7. [http://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2015/03/energy\\_geo-final.pdf](http://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2015/03/energy_geo-final.pdf)

ერთი ინიციატივა, რომელიც ეკუთვის ცირა ბარამიძეს, კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, არის ფოთის პორტში საერთაშორისო აეროპორტის გახსნა. ვფიქრობ, საერთაშორისო აეროპორტის გახსნა საქართველოსთვის, მართლაც რომ დიდი მიღწევა და წინსვლა იქნება, ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან ერთად, რომლის მშენებლობაც უკვე მიმდინარეობს. აეროპორტი მოემსახურება აღმოსავლეთიდან დასავლეთით და პირიქით სავაჭრო და ასევე სამგზავრო თვითმფინავებს. გარდა იმისა, რომ საქართველოს, უმოკლესი სამელეთო გზა აქვს ევროპიდან აზიამდე, ასევე საჰაერო სივრცეც. ამ შემთხვევაში აეროპორტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სავაჭრო ნაწარმისა და ხალხის მატრანსპორტირებელი საქართველოსთვის, ასევე გაჩერების ადგილი სადაც თვითმფინავები შეძლებენ შესვენებას და შემდეგ ისევ გააგრძელებენ გზას, რაც ვფიქრობ კიდევ დამატებით შემოსავალს მოუტანს ქვეყანას. საქართველო საგარეო პრიორიტეტი ეკონომიკის კუთხით არის ასევე ეკონომიკური უსაფრთხოება, რაც დიდ როლს თამაშობს ქვეყნის განვითარების კუთხით. ეკონომიკურ უსაფრთხოებაში იგულისხმება კონკრეტული მიდგომა სახელმწიფოსი, რომელშიც განხილულია სახელწმიფოს ინტერესები და ეკონომიკის წარმოდგენა, როგორც წამყვანი სფერო ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის კუთხით. ეკონომიკური უსაფრთხოება მოიცავს თუნდაც კონკრეტული ეკონომიკური რეზერვების შექმნას, რომელიც გამოადგება სახელწმიფოს ომიანობის პერიოდში ან ბუნებრივი კატაკლიზმების დროს. ეკონომიკური უსაფრთხოების უარუნველყოფა ყოველთვის იყო და იქნება საზოგადოების, მისი თითოეული წევრის საზრუნავი. მაგრამ, მისი მნიშვნელობა, აქტუალურობა განსაკუთრებით იზრდება ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური და სხვა პროცესებისა და მოვლენების მწვავე კრიზისულ პერიოდში, თანაც იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანა ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემიდან, გადადის ახალ სისტემაზე, სისტემაზე, რომელიცდა ფუძნებული უნდა იყოს დემოკრატიულ ღირებულებებზე.<sup>15</sup>

---

<sup>15</sup> პირველი თავი ეკონომიკური უსაფრთხოება როგორც ეკონომიკური კატეგორია: შესწავლის თეორიულ- მეთოდოლოგიური საკითხები. გვ.1. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d->



## 2.1. კავკასია-კასპისპირეთის ენერგორესურსების პოლიტიკა და საქართველოს გეოეკონომიკური ფაქტორი

გამომდინარე იქედან, რომ კავკასია მდიდარია ენერგო რესურსებით განსაკუთრებით კი კასპისპირა რეგიონი, დადგა საკითხითი ბუნებრივი რესურსების ექსპორტზე გატანის. აღმოსავლეთით ამ რესურსების ექსპორტი მარტივად ხდება, რადგანაც პირდაპირი სავაჭრო გზა გადის კავკასიიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების ექსპორტს. ამის საშუალებას იძლევა, როგორც საზღვაო გზა, ასევე სახმელეთო. რაც შეეხება კასპის რეგიონიდან დასავლეთის მიმართულებით რესურსების ექსპორტს, ამ საკითხში საქართველო მონაწილეობს, რადგან მისი საშუალებით შეიძლება, უმოკლეს დროში მიეწოდოს ბუნებრივი რესურსები დასავლეთს და ამავდროულად იაფი ჯდება ტრანსპორტირება საქართველოს გავლით. არის მეორე გზაც, მაგრამ პოლიტიკური ფაქტორიდან და რიგი სახელწმიფოების ჩართულობიდან გამომდინარე რუსეთს უარი ეთქვა ბუნებრივი რესურსების ტრანსპორტირების როლი ეკისრა. საქართველო, როგორც სანდო მოკავშირე დასავლეთის, ასევე აძლევს მას საშუალებას, ჩართული იყოს ენერგორესურსების ტრანსპორტირებაში, რაც ამავდროულად მომგებიანია საქართველოსთვის და მას შანსს აძლევს აღადგინოს ისტორიული ფუნქცია, რომელიც გულისხმობს „აბრეშუმის გზის“ ახალ სიცოცხლეს. საქართველოს ფაქტორი, რომ არ იყოს, საფრთხის ქვეშ დადგებოდა ენერგორესურსების ტრანსპორტირება, რადგან ალტერნატივა იქნებოდა რუსეთი, რომელიც დასავლეთის პოლიტიკური და იდეოლოგიური მოწინააღმდეგეა. ასევე, არ გამოვრიცხავ, რომ ზეგავლენის კუთხით, რუსეთს სანქციები ეწარმოებინა დასავლეთის მიმართულებით, რაც უკვე მძიმე შედეგს მოიტანდა ამ უკანასკნელისთვის. ამიტომაც, საქართველო, როგორც კარგი გეოგრაფიული მდებარეობის მქონე ქვეყანა, განსაზღვრავს კავკასია-კასპისპირეთის ენერგორესურსების პოლიტიკას.

## 2.2. საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი და მისი როლი რეგიონული ეკონომიკის განვითარების საქმეში

საქართველოს მისი არსებობიდან დღემდე ასრულებდა სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას და კავკასიის რეგიონის ეკონომიკურ წინსვლაში თავის როლს ასრულებდა. თუმცა საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მან ეს ფუნქცია დაკარგა, როგორც ცალკეულმა ქვეყანამ, მაგრამ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1990-იანი წლებიდან ისევ დაიწყო ამ ფუნქციის გაცოცხლება, რაც ერთი მხრივ გამოიხატა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტის წამოწყებით, შემდეგ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალით და დღემდე საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო დონის პროექტები.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რომელიც მოემართება კასპიის ზღვის აუზიდან, გაივლის საქართველოს და მთავრდება თურქეთის ტერიტორიაზე ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ეს არის მსოფლიოს სიგრძით, მეორე ნავთობსადენი. ამ პროექტს საფუძველი დაედო 1998 წლის 29 ოქტომბერს, როცა ანკარაში ხელი მოეწერა დეკლარაციას. ხელს აწერდნენ: აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთის, თურქეთის და უზბეკეთის პრეზიდენტები. ასევე ამერიკის ენერჯეტიკის მინისტრი. 2002 წლის 18 სექტემბერს მშენებლობა დაიწყო და დღეს უკვე, დასრულებული სახით ფუნქციონირებს. ნავთობსადენის გამტარუნარიანობა არის 1.2 მილიონი ბარელი ნავთობი დღეში. მისი სიგრძე 1768 კმ-ია. აქედან, 443 კილომეტრი გადის აზერბაიჯანის, 249 კილომეტრი საქართველოს, ხოლო 1076 კილომეტრი თურქეთის ტერიტორიებზე.<sup>16</sup> მსგავსი, მასშტაბური პროექტიდან და წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე საქართველო ყოველთვის ყურადღების ცენტრშია. ქვეყანას, მძიმე 90-იანი წლების შემდეგ, საშუალება მიეცა თავი გამოეჩინა

---

<sup>16</sup> ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. გვ.1.  
<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D-%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%98%E1%83%B0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%97%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98>

საერთაშორისო არენაზე და დაებრუნებინა მისი ისტორიული ფუნქცია. ეს ნავთობსადენი გვერდს უვლის რუსეთს, რაც ხელს უწყობს მისი პოლიტიკის შესუსტებას და ამავდროულად არის უმოკლესი გზა დასავლეთისკენ ბუნებრივი რესურსების გატარების, რაც უფრო მიმზიდველს ხდის ქვეყანას ბევრი ინვესტორისა თუ ქვეყნისთვის, რომელსაც სურს რომ ვაჭრობა აწარმოოს მისთვის უკეთეს პირობებში, კონტრაქტორ ქვეყანასთან. ასევე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი ერთდროულად არის ქვეყნის გარანტი თავდაცვის კუთხით და ასევე საფრთხის შემცველი რუსეთის მხრიდან, ამიტომ საქართველომ და ამ პროექტის ხელმძღვანელმა ქვეყნება ფრთხილი პოლიტიკა უნდა გაატარონ, რუსეთის მიმართ, რადგანაც ეს უკანასკნელი არის წაგებული იმ კუთხით, რომ მან ვერ შეძლო მიეღწია ის, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს მის ტერიტორიაზე გაეგლო. ფრთხილი და თავდაცვითი პოლიტიკიდან გამომდინარე, 2014 წელს, კრწანისის სავწავლო ცენტში გაიმართა სამეთაურო-საშტაბო, კომპიუტერული წვრთნები, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის სამხედრო მოსამსახურეების მონაწილობით, რაც გულისხმობს, ბრიგადის შტაბის ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტის დაცვას. ამას მოყვა კიდევ ბევრი პროექტი და მათ შორის არის ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებ. ეჭვგარეშეა, რომ 21-ე საუკუნეში, კავკასიის რეგიონი და განსაკუთრებით საქართველო ყურადღების ცენტრში მოექცა და მას აქვს პოტენციალი, რომ ამ სატრანსპორტო ფუნქციით, არა მხოლოდ საკუთარი თავი, არამედ კავკასიის რეგიონიც მიმზიდველი გახადოს, დაცული და ამავდროულად ბევრი ქვეყნის ინტერესის გადაკვეთის წერტილი. ნავთობის ტრანზიტისგან დაგეგმილი მცირე მოგების მიუხედავად, საქართველომ არცთუ უმნიშვნელო ეკონომიკური სარგებელი ნახა თავად მილსადენის მშენებლობიდან. სამუშაო ადგილების შექმნის გარდა, მილსადენის მშენებელი და ოპერატორი კომპანიის "ბრიტიშ პეტროლიუმის" ხარჯზე, თითქმის ყოველწლიურად იზრდება პირდაპირი

ბაქო-თბილისი-ყარსი-ახალქალაქის რკინიგზას ეკონომიკური, პოლიტიკური და გლობალური მნიშვნელობა აქვს, - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ამის შესახებ მინისტრმა გიორგი გახარიამ ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მნიშვნელობაზე საუბრისას განაცხადა. გიორგი გახარიამ აქცენტი გააკეთა პროექტის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე.<sup>18</sup> ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, რომელიც არის რეგიონული მნიშვნელობის და აკავშირებს, საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს. თავდაპირველად მისი მშენებლობა 2007 წელს დაიწყო, ხოლო მისმა გახსნამ რამდენჯერმე გადაიწია და ბოლოს 2017 წლის 30 ოქტომბერს კი ოფიციალურად გაიხსნა. რკინიგზას აქვს, როგორც გეოპოლიტიკური, ასევე ეკონომიკური მნიშვნელობა. გარდა იმისა, რომ პროექტი, ერთმანეთთან აკავშირებს, სამ, მასში გაერთიანებულ ქვეყანას, ხდება ტვირთის გადატანა და ხალხის გადაყვანა, აზიიდან, ევროპის მიმართულებით. ეს პროექტი უკვე მოხვდა ას საუკეთესო გლობალურ პროექტს შორის, რაც ქვეყნის იმიჯზე დადებითად მოქმედებს და უფრო იზიდავს ინვესტორს. მისი ეკონომიკური მნიშვნელობა კი გაიზრდება. რკინიგზას შეუძლია წელიწადში 1 მილიონი მგზავრი გადაიყვანოს, გადაზიდოს 5 მილიონი ტონა ტვირთი, რაც სამომავლოდ გაიზრდება და 15 მილიონ ტონამდე ავა. ის, რომ პროექტი მომგებიანია ქვეყნისა და რეგიონისთვის ეკონომიკური კუთხით, უდავოა, მაგრამ ამავდროულად, რეგიონში, რუსეთის არსებობის პირობებში საეჭვოა ის ფაქტი, რომ, რკინიგზასთან დაკავშირებულ შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდა, თურქეთი, რუსეთი და აზერბაიჯანი, არ იქნა გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ საქართველო, როგორც ამ პროექტის ხელშემყობი ქვეყანა არ იყო მიწვეული ამ შეხვედრაზე, რაც კიდევ ერთხელ

<sup>17</sup> რა ეკონომიკური სარგებელი მოაქვს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს და რა საფრთხეს უქმნის ის ეკოლოგიას. გვ1. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1547799.html>

<sup>18</sup> გიორგი გახარია - ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზას ეკონომიკური, პოლიტიკური და გლობალური მნიშვნელობა აქვს. გვ1. <https://www.interpressnews.ge/ka/article/460612-giorgi-gaxaria-bako-tbilisi-qarsis-rkinigzas-ekonomikuri-politikuri-da-globaluri-mnishvneloba-akvs/>

კითხვებს აჩენს და ცხადყოფს რუსეთის პოლიტიკას საქართველოსადმი. რუსეთმა შეიძლება სათავისოდ გამოიყენოს მოცემული რკინიგზა სავაჭრო კუთხით და თან ამავდროულად შეიძლება საფრთხე შეუქმნას ამ რკინიგზას და ასევე სპეცსამსახურების გავლენით ეცადოს, რომ მოცემულ პროექტში მონაწილე ქვეყნები ერთმანეთს გადაკიდოს, ისე როგორც ამას აკეთებს ჩვეულებრივ, კავკასიის რეგიონში. ამიტომ, სანამ შედგება შეთანხმება, რომელიც ასევე ითვალისწინებს ტუსეთის ტვირთბრუნვას და გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე და თან ეს ტერიტორია ახლოს არის ჯავახეთთან და ახლოს გავილის სომხეთის საზღვართან. ეს უკანასკნელი კი რუსეთის პარტნიორი ქვეყანა და მისი ინტერესების გამტარებელია კავკასიის რეგიონში. აქედან გამომდინარე არსებობს იმის საფრთხე, რომ რუსეთმა ხელი შეუწყოს ამ სარკინიგზო ხაზის საშუალებით ჯავახეთის ტერიტორიაზე იარაღის შემოტანას მის პოლიტიკასთან ერთად და ჩემი აზრით არსებობს აჯანყების საშიშროება. ამიტომ საქართველოს მთავრობამ ყურადღებით და მაქსიმალური სიფრთხილით უნდა მიუდგეს ამ საკითხს. დღეს-დღეობით საქართველოში საერთაშორისო პროექტების რაოდენობა იმატებს და შეიძლება ითქვას ამ პროექტების შედეგია ანაკლიაში, ღრმა წყლოვანი პორტის მშენებლობის იდეა, რაც კიდევ ერთი წარმატებაა ქვეყნისთვის და რომელზეც შემდეგ თავში ვისაუბრებ.

### **2.3. ანაკლიის პორტის გეოპოლიტიკური ბრძოლის პოლიტიკური ასპექტები**

შავი ზღვა არის ბუნებრივი ხიდი, რომელიც ევროპას აკავშირებს კასპიის რეგიონთან და მის მიღმა - ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან. შავ ზღვას ევროკავშირისთვის ყოველთვის ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობა, განსაკუთრებით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) ქვეყნების

უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომლებიც მდებარეობენ შავი ზღვა-დუნაის აუზის გასწვრივ. ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოება სულ უფრო დამოკიდებული ხდება მილსადენის პროექტების წარმატებაზე, რომლებიც გადის სამხრეთ კავკასიაზე, უკრაინაზე, თურქეთსა და ევროკავშირის წევრ ზღვისპირა სახელმწიფოებზე. რეგიონს ასევე უკავშირდება ევროპა-აზიას შორის ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარების გეგმებიც. თავის მხრივ, ფართო რეგიონი ქმნის მზარდ ბაზარს 350 მილიონზე მეტი მოსახლეობით და ბუნებრივად წარმოადგენს კომერციული ინტერესების საგანს. რეგიონი არ არის ჰომოგენური და ინტეგრირებული და ამ სივრციდან მომდინარე რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევას, თუ შესაბამისი რეგირება არ მოჰყვება, პოტენციურად ძლიერი გავლენის მოხდენა შეუძლია როგორც ევროკავშირის, ისე მისი პარტნიორების უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე.<sup>19</sup> ანაკლიის პორტი, ედუარდ შევარდნაძის დროიდან მოყოლებული ყურადღების ცენტრში იყო, მაგრამ მთავრობის ცვლილების შემდეგ ეს პროექტი ჩაიშალა. მიხეილ სააკაშვილის მთავრობის დროს, გაჩნდა იდეა, რომ აშენებულიყო ქალაქი ლაზიკა და პორტი, მაგრამ ისევ ვერ განხორციელდა ეს პროექტი. დღევანდელი მთავრობის პირობებში, ისევ გაჩნდა ანაკლიის პროექტის იდეა და დაიწყო მშენებლობა. გამომდინარე იქედან, რომ პორტი ატარებს სატრანზიტო ხასიათს, ევროპასა და აზიას შორის, ჩაერთო ბევრი ქვეყანა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ტვირთის გადადზიდვით, რაც გულისხმობს უმოკლეს ვადასა და მისაღებ ფასებში, სხვადასხვა ნედლეულისა თუ რესურსის ტრანსპორტირებას. „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ აერთიანებს საერთაშორისო ბიზნესლიდერთა გუნდს და მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე კომპანიებს, რომლებიც საქართველოს მთავრობასთან ერთად ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობას და განვითარებას ახორციელებენ.<sup>20</sup> პორტით დაინტერესებულია ბევრი ქვეყანა, მაგრამ განსაკუთრებით დაინტერესებულია აშშ,

<sup>19</sup> კახა გოგოლაშვილი - ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება. გვ.2.

<https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2651.pdf>

<sup>20</sup> ანაკლიის პორტი. გვ.1. <http://anakliadevelopment.com/ka/>

ჩინეთი და რუსეთი. ეს სამი აქტორი იბრძვის იმისთვის, რომ გავლენა მოიპოვოს პორტზე და გადაეცეს საკუთრებაში რაღაც დროით. თუმცა, აშშ-მ შეძლო და გააფორმა ხელშეკრულება საქართველოსთან. ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაღიზიანდა ჩინეთი და რუსეთი. ისინი ცდილობენ, რომ პროექტი მათ ხელში მოხვდეს და ამერიკა-საქართველომ ვერ შეძლოს თანამშრომლობა.

ამერიკის სახელმწიფო მდივანმა გააკეთა განცხადება, რომ რუსეთი და ჩინეთი, რომლებიც არ არიან საქართველოს კეთილმოსურნეები, ტყუილად ცდილობენ სარგებელი ნახონ ანაკლიის პორტიდან, რაზეც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ შემფოთებულია ამერიკის მხრიდან მსგავსი დამოკიდებულებით და არ მოსწონს მათი ტონი. ამავდროულად იგი საფრთხეს ხედავს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში. ამას, არაერთგვაროვანი შეფასება მოყვა საქართველოს მთავრობის, მმართველი პარტიისა თუ ოპოზიციის მხრიდან. პრეზიდენტმაც გააკეთა კომენტარი, კარასინის განცხადებაზე და თქვა, რომ ეს უბრალოდ, რუსეთის მხრიდან საუბრის ჩვეული ფორმაა. ასევე, საინტერესო ფაქტია ინფორმაციის გაჟღერება ფოთის პორტის გაღრმავებასთან დაკავშირებით. ხოლო ამ მოვლენებამდე იყო „თბს ბანკი“-ის საექვო საქმიანობაზე საუბარი ანაკლიის პორტთან დაკავშირებით და ასევე ფიგურირებდა ბიძინა ივანიშვილის სახელი.

განვიხილოთ ამერიკის სახელმწიფო მდივნისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებები: ამერიკა, როგორც პარტნიორი და მხარდამჭერი ქვეყანა საქართველოსი იცავს ამ უკანასკნელის და უფრო მეტად თავის პოზიციას, რადგან ჯერ ანაკლიის პორტი და შემდეგ კავკასიის რეგიონი მნიშვნელოვანია მისთვის, როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური კუთხით, რადგან საქართველოს სახით თუ ეყოლება პარტნიორი ამ რეგიონში, ის შეძლებს კავკასიის გაკონტროლებას, აზერბაიჯანის, სომხეთის და ირანის მიმართულებით. ასევე, შეასუსტებს რუსეთის პოზიციებს. ანაკლიის პორტს რაც შეეხება, ის საშუალებას მისცემს, რომ სატრანსპორტო ტვირთების კვალდაკვალ აწარმოოს სამხედრო თუ ჰუმანიტარული დახმრება თავისი პარტნიორისთვის და გააკონტროლოს შავი ზღვის აუზი, რომელიც



ასე მნიშვნელოვანია მისთვის და ეს კიდევ რუსეთის დასუსტებისთვის. რაც შეეხება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებასა და შეშფოთებას რეალურია, გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს აქვს არჩეული დასავლური კურსი, არის ამერიკის პარტნიორი და არ აწყოს, რომ მტერი ასე ახლოს ჰყავდეს. მის განცხადებას რაც შეეხება საქართველო-რუსეთის ურთიერთობების გაფუჭებასთან დაკავშირებით, ეს არის მანიპულაციის ხერხი, რომელიც ითვალისწინებს დიდწილად ეკონომიკურ მუქარას, როგორც ექსპორტის, ასევე ტურიზმის კუთხითაც. თან ისე აკეთებს განცხადებას, ვითომ წუხს საქართველოს გამო, ამავდროულად კი რუსი ექსპერტი ალექსანდრე დუგინი, მოუწოდებს ოს ხალხს, რომ თბილისში ტანკებით უნდა შევიდნენ, რომ ქართველმა დახოცეს მშვიდობიანი მოსახლეობა 2008 წლის ომის დროს. როგორც ადრე რუსეთი, ახლაც ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს. ასევე, ამერიკის სახელმწიფო მდივნის განცხადება ეხებოდა ჩინეთს, სადაც რუსეთი დამცველის პოზიციაში გამოვიდა და ორივე ქვეყნის სახელით ისაუბრა. თან ვითომ საქართველოზე ღელავს გრიგორი კარასინი და ამავდროულად ცდილობს ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობის გაფუჭებას, რომ თვითონ კარგ როლში გამოვიდეს, თუმცა აშშ-სა და ჩინეთს არ აქვთ მაინცდამაინც პარტნიორული ურთიერთობა. ანაკლიის პროექტს აქვს პოლიტიკური დატვირთვა. 2007 წელს ფოთის პორტის სრული პრივატიზებით სახელმწიფომ ყველაზე სტრატეგიული, საპორტო ინფრასტრუქტურა დაკარგა. ამჟამად სახელმწიფოს არა აქვს ბერკეტი ფოთის განვითარებაზე ზეგავლენის მოსახდენად. შავი ზღვის ყველა სახელმწიფოს აქვს საკუთრებაში ან სამართავად გაცემული პორტი. ასევე საქართველო ერთადერთი ქვეყანაა შავ ზღვაზე, რომელსაც ღრმაწყლოვანი პორტი არ აქვს.<sup>21</sup> საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ყველასთვის მოულოდნელად ფოთის პორტის გაღრმავებაზე საუბარი დაიწყო. როგორც მმართველ პარტიაში აცხადებენ, რომ ის ადამიანი განთავისუფლებულია, ვინც ხელი მოაწერა ფოთის პორტის გაღრმავებითი სამუშაოების დაწყებას. ეს ფაქტი,

---

<sup>21</sup> რა სტრატეგიული და კომერციული მნიშვნელობა ექნება ანაკლიის პორტს. გვ1.  
<https://www.kvirispalitra.ge/economic/31743-ra-strategiuli-da-komerciuli-mnishvneloba-eqneba-anakliis-ports.html>



შეიძლება ითქვას საფრთხეს შეუქმნიდა ანაკლიის პორტის მშენებლობის დასრულებას, რადგან დაინტერესებული კომპანია თუ ინვესტორი კონკურენტ პორტს არ აღიქვამდა კარგად. ფაქტია, რომ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი მსგავს ნაბიჯს არ გადადგამდა და მისი ქცევა ნაკარნახევი იქნებოდა საქართველოს არაკეთილმოსურნე პირების მიერ. ანაკლიის პორტს საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ეკონომიკური, თავდაცვის კუთხით და ქვეყანას შესაძლებლობა ექნება იყოს კონკურენტუნარიანი სხვასთან შედარებით. ეკონომიკური კუთხით გაჩნდება სამუშაო ადგილები, მოხდება სამეგრელოს რეგიონის განვითარება ინფრასტრუქტურის კუთხითაც, რაც ასევე მიმზიდველი გახდება სხვა ინვესტორებისთვის. რადგანაც ბევრი ქვეყანა გამოიყენებს ანაკლიის პორტს ტრანსპორტირებისთვის, ეს იქნება ერთგვარი გარანტი, რომ რუსეთმა ვერ შეძლოს საქართველოს სიღრმეში შემოსვლა. ანაკლიის პორტი ახლოს არის აფხაზეთის რეგიონთან და იმის შანსი, რომ საქართველოს წარმატებამ გავლენა იქონიოს აფხაზ ხალხზე მაღალია, გამომდინარე იქედანაც, რომ დღეს აფხაზეთში ეთნიკურად სომხები უფრო კარგ პირობებში ცხოვრობენ, ვიდრე ადგილობრივები და ერთ-ერთი განმსაზღვრელი იმისა, რომ აფხაზები შემობრუნდნენ საქართველოსკენ იყოს ანაკლიის პორტი.

## **თავი მესამე. რეგიონული სტაბილურობის მიღწევების პოლიტიკური მიდგომები 21-ე საუკუნეში და საქართველოს საგარეო პოლიტიკის პარადიგმა**

არსებობს პოლიტოლოგებისა და პოლიტიკოსების ნაწილი, რომლებიც თვლიან, რომ აგვისტოს ომმა და მის შემდგომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. "სამხრეთ

ოსეთის" დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობამ, მართალია, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები ხანგრძლივი დროით "დააკონსერვა", მაგრამ სამაგიეროდ ახალი პირობები შექმნა ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის კონფლიქტების მოგვარებისათვის.<sup>22</sup> გამომდინარე იქედან, რომ კავკასიის რეგიონი დასახლებულია მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური ადამიანებით და ამასთან ერთად არსებობს მოცემულობა რუსეთის, როგორც იმპერიული სახელმწიფოს სახით და ასევე დიდია ინტერესი დასავლელეთ ევროპისა და ამერიკის მხრიდან, ხშირია დაპირისპირება, რომელიც წარმოქმნილია, რელიგიურ, ეთნიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ნიადაგზე და ამავდროულად არსებობს მესამე ძალა, რომელიც ხელს უწყობს ამ კონფლიქტის გაღვივებას. რუსეთი, კავკასიის რეგიონში ძირითადი აქტორია, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკურ ტემპერატურას ამ რეგიონში. ის იწვევს დაპირისპირებას სხვადასხვა ქვეყანას შორის და დებს ნაღმებს კონკრეტულ რეგიონებში, რათა საჭიროების შემთხვევაში გაოიყენოს ბალანსის შესანარჩუნებლად. სტაბილურობის საკითხსა და საქართველოს როლს რაც შეეხება ამ ეტაპზე რთული სათქმელია, რამდენად შესწევს ამ პატარა ქვეყანას ძალა იმპერიას გაუწიოს წინააღმდეგობა, თუმცა პარტნიორების დახმარებითა და სწორი პოლიტიკით შეძლებს ამის მიღწევას. რეგიონალური პოლიტიკა აგებული უნდა იყოს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე და ამავდროულად უნდა მოიცავდეს უსაფრთხოების სფეროს ამუშავებას რეგიონალური კუთხით. მასში ჩართული უნდა იყოს, როგორც სახელმწიფოს სპეცსამსახურები, ასევე სახელმწიფო პოლიტიკაც აგებული უნდა იყოს ამ კუთხით. საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში თანამშრომლობის გარემოს შექმნას და მშვიდობის დამყარებას. საქართველო აცნობიერებს ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან ურთიერთობების გაღრმავებისა და განვითარების აუცილებლობას. ეს ხელს შეუწყობს საქართველოს

---

<sup>22</sup> კონსტანტინე ჟდენტი - კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივები სამხრეთ კავკასიაში. გვ.1.  
<http://bspn.gfsis.org/ge/resources/articles/display/257>

მიზნებთან და პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით მათი ინფორმირებულობის გაზრდას, კავკასიაში ნდობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას და მშვიდობისა და სტაბილურობის დამკვიდრებას.<sup>23</sup>

### **3.1. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი და მისი გავლენა, კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებაზე**

როგორც ნებისმიერი ომი, მოქმედებს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, ასე მოხდა რუსეთ-საქართველოს შემთხვევაში. ზოგადად, რომ ომი ცუდია და უარყოფითი შედეგები მოაქვს მსოფლიოსთვის, დაპირისპირებული მხარეების მოკავშირე ქვეყნებისთვის და იმ რეგიონისთვის განსაკუთრებით, სადაც ომი მიმდინარეობს. კავკასიის რეგიონი ერთობ სტაბილური და ამავდროულად დაპირისპირებებით აღსავსე რეგიონია. საქართველო ამ რეგიონის ცენტრში მდებარე ქვეყანაა, რუსეთი კი ჩრდილოეთ კავკასიას ფლობს. 2008 წლის ომმა სრულიად შეცვალა კავკასიის რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური დღის წესრიგი. მაგრამ სანამ არსებობს რუსეთი, როგორც ჰეგემონი ქვეყანა და იმპერია, მანამ კავკასიის რეგიონში იქნება დაპირისპირება, რაც ამ უკანასკნელს აწყოს, იმიტომ, რომ მარტივად სამართავია დანაწევრებული რეგიონი. სანამ რუსეთი ძლიერია, კონფლიქტის კერები იარსებებს და საჭიროების შემთხვევაში შექმნის კიდევაც, მაგრამ ასევე დაარეგულირებს მას, რადგან მძიმე შედეგი არ გამოიწვიოს. შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი ერთდროულად არის განმსაზღვრელი კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისა და კონფლიქტის კერების გაჩენის. 2008 წლის ომმა კავკასიის რეგიონის ქვეყნებს, საქართველოს მაგალითზე დაანახა, რომ ჯობს არ შეეწინააღმდეგონ რუსეთს, თუმცა მას შემდეგ რაც რეგიონში ნატოს ჯარების სახით ახალი ძალა შემოვიდა უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა უსაფრთხოების თემა, რადგან ასე ახლოს ორი

---

<sup>23</sup> საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. გვ.1.  
<http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx>

დაპირისპირებული მხარე ქმნის ისეთ ბირთვს, რომელიც ბომბის მექანიზმს წააგავს და ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს, თუმცა იმ ფონზე, როცა დღეს-დღეობით ქვეყნები იყენებენ რბილი ძალის პოლიტიკას ეს პერსპექტივა უფრო შორეული მომავლისაა ვიდრე უახლოესის.

### **3.2. რეგიონული პოლიტიკური კონფლიქტების გეოსტრატეგია და საქართველოს პოზიცია**

კონფლიქტი, მსოფლიოში და განსაკუთრებით კავკასიის რეგიონში ყოფილა ან მოხდება, პირდაპირ კავშირშია საქართველოსთან. ამ უკანასკნელმა, თავისი პოლიტიკური წონიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უნდა გაატაროს ისეთი საგარეო პოლიტიკა, ხელს შეუწყობს რეგიონში უსაფრთხოებისა და სიმშვიდის აღქმას. განვიხილოთ რამდენიმე კონფლიქტი, რომელიც უახლოეს წარსულში მომხდარა და საქართველოს დამოკიდებულება ამ დაპირისპირებების მიმართ.

რუსეთ-ჩეჩნეთის ომი, ერთ-ერთი სისხლისმღვრელი ომია, რომელიც კავკასიის რეგიონს უნახავს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც საქართველოს შეთხვევაში რუსეთმა განიზრახა მისი ყოფილი ტერიტორიების დაბრუნება და რადგანაც თემა რუსეთ-ჩეჩნეთის ომზეა, განვიხილოთ ქრონოლოგიურად. 1991 წელს ჩეჩნეთმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა. 1992 წელს, ბორის ელცინის მიერ შეთავაზებულ ხელშეკრულებაზე ჩეჩნეთმა უარი განაცხადა. რუსეთი ინტენსიურად ამარაგებდა ჩეჩნეთის ოპოზიციურ ძალებს და მათი მცდელობის მიუხედავად, ჩეჩნეთის მთავრობა ვერ გადააყენე. 1994 წელს კი რუსეთმა ჩეჩნეთი დაბომბა, რასაც მხარი აუბა ჩეჩნეთის ოპოზიციურმა ძალებმა თუმცა მაინც ვერაფერი გააწყვეს. ბორის

ელცინმა, ასევე ულტიმატუმი წაუყენა ჯოხარ დუდაევს და იარაღის დაყრისკენ მოუწოდა, რაზეც მან უარი განაცხადა. თუმცა, რუსეთის მიზანმიმართული პოლიტიკით ჩეჩნეთი დამარცხდა პირველ ომში, რომელიც 1997 წელს დასრულდა.<sup>24</sup> მეორე ომის მოთავე, რომელიც ჩეჩნეთში იყო 1999 წელს დაიწყო. მიზეზი კი გახდა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, რუსეთში, საცხოვრეულ კორპუსებში ჩადებული ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც ჩეჩნებს დაბრალდა და ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, ბრძანება გასცა ჩეჩნეთში შეჭრის და ომის დაწყების, რაც ისევ დამთავრდა ჩეჩნეთის დამარცხებით, ამავდროულად მთავრობაში მოვიდა, პრორუსულად განწყობილი რამზან კადიროვი, რომელმაც ჩეჩნეთი დაუქვემდებარა რუსეთს და მის რესპუბლიკად გამოაცხადა. რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტში დაირღვა შეარაღებული კონფლიქტის ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორცაა „განსხვავება“, „სამხედრო საჭიროება“ და „პროპორციულობა.“ ომის დანაშაულებებიდან ჩეჩნეთში გვხვდება ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი ხოცვის შემთხვევები სოფლებში სამაშვი, ალხან-იურტა და ნოვიე-ალდი. ადამიანის უფლებების რუსული ორგანიზაციის თანახმად, 1999-2005 წლებში 3000-დან 5000-მდე ადამიანი გაუჩინარდა, ხოლო ადგილობრივი თანამდებობის პირები ჩეჩნეთში 49 მასობრივი საფლავის არსებობას ადასტურებენ.<sup>25</sup> საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ნებისმიერი კონფლიქტი, განსაკუთრებით კი ის, რომელიც ხდება კავკასიის რეგიონში. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში, პანკისის ხეობა დასახლებულია ეთნიკურად ქისტი მოსახლეობით და რომელიმე არიან ჩეჩნეთის მონათესავე ხალხი და ასევე, პანკისის ხეობის სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლების სიმრავლის და აზრთა სხვადასხვაობის გამო იქმნება საფრთხე, რომ რუსეთმა, გამოიყენოს

---

<sup>24</sup> ჩეჩნეთის პირველი ომი. გვ.1.

[https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%A9%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1\\_%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98\\_%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98](https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%A9%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98)

<sup>25</sup> რუსეთ-ჩეჩნეთის ომიდან ანტიტერორისტულ კამპანიამდე. გვ.1.

<https://emc.org.ge/ka/products/pankisis-krizisi-da-politikuri-garemoebebi>

კადროვი, ეთნიკურად ქისტი მოსახლეობის გადასაბირებლად. ამის მცდელობა ჰქონდა ადრე და ყოველთვის ექნება. რადგან რუსეთის ერთ-ერთი გეგმა ითვალისწინებს ჩეჩნეთიდან სამხედრო გზის გაყვანას ყვარლის გავლით და ამას მარტივად მოახერხებს, თუ შეძლებს ქისტების გადაბირებას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს. სახელმწიფომ ყურადღება უნდა მიაქციოს მსგავს აქტივობებს და საშუალება არ მისცეს რუსეთის სპეცსამსახურებს სიტუაციის არევის. ერთ-ერთი დაპირისპირება, რომელიც მოხდა პანკისის ხეობაში ,იყო 2019 წელს. მოვლენები კი წარიმართა შემდენაირად: 21 აპრილს,პანკისის ხეობაში, ერთმანეთს დაუპირისპირდა ერთ მხარეს მდგომი პოლიცია და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დანაყოფი და მეორე მხარეს მყოფი პანკისელი მოსახლეობა, იმ მიზეზით, რომ პანკისელებს არ სურდათ ხეობაში კიდევ ერთი ჰესი აშენებულიყო, რაც, მათი თქმით გამოიწვევდა ეკოლოგიურ ზარალს და შემდეგში უარყოფითად აისახებოდა ხეობის ტურისტულ პოტენციალზე. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ მოსახლეობა ფიზიკურად გაუსწორდა ზემოთხსენებულ მხარეს, მათ კი საპასუხოდ და ხალხის დასაშლელად გამოიყენეს რიგი საშუალებები, რომლითაც ცდილობდნენ თავიდან აერიდებინათ აგრესია და განცალკევებულიყვნენ, რაც ხელს შეუწყობდა, დაწყებულიყო სიტუაციის გამოსწორება. გარკვეული დროის შემდეგ შეწყდა დაპირისპირება, თუმცა იყო მცირე აქტები რომლის შედეგად დაიწვა, ჰესის მშენებელი კომპანიის ტრაქტორი და შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე მანქანა. სიტუაცია მას შემდეგ გამოსწორდა რაც თელავში ჩავიდა, შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო შემდეგ დაპირისპირების ადგილას. მოცემულ შეხვედრებზე იყო საუბარი, სიტუაციის გამოსწორებასთან და დიალოგთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებდა, მოსახლეობასთან შეთანხმებას და მათი 90%-ის თანხმობის შემთხვევაში განახლდებოდა ჰესის მშენებლობა და ეს უკანასკნელი განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა. მოცემულ სიტუაციასთან დაკავშირებით, როგორც ცნობილია მოლაპარაკება ისევ მიმდინარეობს.

ქრონოლოგიურად, რომ განვიხილოთ მოცემული სიტუაცია დავიწყოთ იქიდან,

რომ დაახლოებით ერთი დღით ადრე, სალამოს სალამოს საათებში და ამ ინფორმაციას ავრცელებს მოსახლეობა, პოლიციელები შეინიშნებოდნენ ჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე და მათი თქმით გაღიზიანება გამოიწვია პოლიციის გამოჩენამ იმდენად არა, რამდენადაც ჰესის მშენებლობის დაწყებამ და ამ უკანასკნელების მხრიდან მოცემული ობიექტის დაცვამ, ხოლო მას შემდეგ, რაც განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი გამოჩნდა, სიტუაცია უფრო გამწვავდა. ლოგიკურად, რომ მივყვეთ, ხალხთან შეთანხმებული, რომ ყოფილიყო მცემული მშენებლობა არც პოლიციის გამოძახება იქნებოდა საჭირო დაცვის მიზნით და არც ეს დაპირისპირება მოხდებოდა. თუმცა, ამას შეიძლება ჰქონდეს მეორე მხარეც, იმ კუთხით, რომ რეგიონი დასწახლებულია, ეთნიკურად ქისტი მოსახლეობით, რომლებიც არიან ჩეჩნებთან მონათესავე, ეს უკანასკნელი კი დღესდღეობით რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედიან, მათი ლიდერი არის რამზან კადიროვი და მას ახლო ურთიერთობა აქვს ვლადიმერ პუტინთან, რუსეთის პრეზიდენტთან, რომელიც არის საქართველოს პირდაპირი მტერი და კავკასიის რეგიონში ატარებს „დაყავი და იბატონე“-ეს პოლიტიკას და რაც არ გამორიცხავს, რომ ჩეჩნების მეშვეობით სურს, პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტების აჯანყებას, რადგან საქართველომ ვერ მიაღწიოს ეკონომიკურ სიძლიერეს და რაც მთავარია ვერ გაწევრიანდეს ნატოსა და ევროკავშირში. ეს უკანასკნელი კი რუსეთის პირდაპირი მტერია. ასევე, შეიძლება განვიხილოთ ის მომენტი, რომ რუსეთს, სურს ყვარელის გავლით, ჩეჩნეთიდან გაიყვანოს სამხედრო გზა, რომელიც ფაქტობრივად დასრულებულია ჩეჩნეთში და სიტუაციის მსგავსი დამაბულობით შეეცდება გაამართლოს მისი ქცევა. თუმცა, რამდენიმე წლის წინ იყო მცდელობა, როცა კადიროველები შემოვიდნენ პანკისის ხეობაში და მათი ქისტებთან შეხვედრა არ დამთავრდა კარგად, იმ კუთხით, რომ მათ არ მოიწონეს კადიროველების შემოსვლა რუსეთის დროშებით საქართველოს ტერიტორიაზე. თუ პანკისის ხეობაში სიტუაცია არ იქნება გამოსწორებული შეიძლება, რომ ქისტებმა აღარ გაუწიონ წინააღმდეგობა კადიროველებს და რუსეთმა, ჩეჩნეთის მეშვეობით და ვითომდა ქისტების დასაცავად ისეთი ქმედება

განახორციელოს, რომელიც კიდევ ერთხელ დაარღვევს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. რუსეთის პირდაპირი პროვოკაცია, რომ გვერძე გადავდოთ თუნდაც, რომელიმე პანკისელის მხრიდან უკმაყოფილებსაც შეიძლება მოჰყვეს დაპირისპირება, რაც ისევ, რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. ასევე მოცემულმა დაპირისპირებამ დაგვანახა თუ რამდენად ერთიანია ქისტი მოსახლეობა, რაც გასათვალისწინებელია, ვფიქრობ, როცა კერძო მეწარმე თუ სახელმწიფო ცდილობს თავისი პოლიტიკის გატარებას. შინაგან საქმეთა მინისტრი მოცემული სიტუაციის საპირწონედ ამბობდა, რომ თავიდან გაიგზავნა 35 პოლიციელი ობიექტის დასაცავად, რაც განხორციელდა ეკონომიკის სამინისტროს განცხადების საფუძველზე და დაპირისპირების დაწყების შემდეგ გაიგზავნა ადგილზე განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი. ისმის კითხვა: თუ ჰესის მშენებლობა იყო შეთანხმებული მოსახლეობასთან და მაინც ვიღაც დაინტერესებული იყო სიტუაციის არევით რატომ არ მოხდა მისი დაკავება ან რატომ არ დაიქირავა კერძო კომპანიამ დაცვის პოლიცია? საინტერესოა, ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა, კერძო კომპანიას, ეკონომიკის სამინისტროს თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს? ამას ისიც ამყარებს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა ისაუბრა კონკრეტულ გადაცდომებზე თუ ხარვეზებზე, რომელზეც თქვა პარლამენტში გამოსვლისას. არის ბევრი, პასუხგაუცემელი კითხვა, რომელიც ეჭვს ბადებს სახელმწიფო სტრუქტურის მიმართ, რაც, ვფიქრობ, გამოწვეულია ურთიერთობის ნაკლებობით მოსახლეობასთან და ეს უნდა შეიცვალოს. თუ არ გამოსწორდა სიტუაცია, რიგი პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობოები, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები ამას სათავისოდ გამოიყენებენ, რაც ქვეყანას ზიანს მიაყენებს და ეს წარსული გამოცდილებიდან ვიცით. იმის ფონზე, როცა ქვეყანას დასავლეთისკენ აქვს კურსი და ეს გამყარებულია ხელშეკრულებების საფუძველზე სახელმწიფო სტრუქტურებთან, გამორიცხავს იმას ერთი მხრივ, რომ ეს უკანასკნელი, საკუთარი თავის წინააღმდეგ ნაბიჯს დგამდეს და სიტუაციას ამწვავებდეს ქვეყანაში, რაც რუსეთისთვის იქნება მომგებიანი.



ყარაბალი თბილისიდან 375 კილომეტრშია. ეს იგივე მანძილია, რაც თბილისიდან ბათუმამდე. საქართველოს საზღვრიდან, წითელი ხიდიდან კი დაახლოებით 300 კილომეტრია. აქედან გამომდინარე, ყარაბალის კონფლიქტი არა მხოლოდ ჩვენს რეგიონში, არამედ ჩვენთან ახლოს არის. ეს კონფლიქტი არა მხოლოდ ორ ჩვენს მეზობელ ქვეყანას შორის არის, არამედ ჩვენს ორ მსხვილ ეკონომიკურ პარტნიორს შორისაა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, საომარი მოქმედებების გაგრძელების შემთვევაში, რა საფრთხე ემუქრება საქართველოს ეკონომიკურად. სტატის თემატიკა სცდება იმის განხილვას, თუ ომის პირობებში როგორ გამოიყენებს რუსეთი საქართველოს ტერიტორიას. სტატია კონცენტრირებულია ორ საკითხზე: ომის შედეგად აზერბაიჯანსა და სომხეთში წარმოშობილი პრობლემების და ჩვენს რეგიონში დესტაბილიზაციის დონის მატების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.<sup>26</sup> ტერიტორიული და ეთნიკური კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რომელიც სადავო მთიანი ყარაბალის რეგიონსა და მის გარეთ, შვიდ მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს, დე-ფაქტო თვითგამოცხადებული მთიანი ყარაბალის რესპუბლიკის მიერ კონტროლირდება, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოების მიერ დე-იურე აღიარებულია აზერბაიჯანის ნაწილად. კონფლიქტი XX საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა, როდესაც სომხებით დასახლებული მთიანი ყარაბალის რეგიონი, იოსებ სტალინის გადაწყვეტილებით, საბჭოთა აზერბაიჯანში ავტონომიურ ოლქად გადაკეთდა. მთიანი ყარაბალის კონფლიქტის გამო სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული კოოპერაციების უმეტესობა სომხეთის მონაწილეობის გარეშე ხორციელდება. სომხეთს ერთგვარი ორმხრივი თანამშრომლობა აკავშირებს ირანთან, მაგრამ მის განვითარებას რუსეთის სკეპტიციზმი უშლის ხელს.<sup>27</sup> კონფლიქტი 1988 წელს დაიწყო, როდესაც ყარაბალის სომხებმა მოისურვეს, რომ ყარაბალი საბჭოთა აზერბაიჯანიდან საბჭოთა სომხეთის შემადგენლობაში გადასულიყო. 1990-იანი წლების დასაწყისში სრულმასშტაბიან

<sup>26</sup> ომი, რომელიც გვეხება. გვ.1. <http://forbes.ge/news/1371/omi%2C-romelic-gvexeba>

<sup>27</sup> სამმაგი ბლოკადა. ურთიერთობათა სამკუთხედი: სომხეთი-აზერბაიჯანი-თურქეთი. გვ.1.

<https://ge.boell.org/ka/2018/02/06/sammagi-blokada-urtiertobata-samkutxedi-somxeti-azerbajani-turketi>

